რასაკვირველია, არსებულ სახელმწიფოთა ოფიციალურ წრეებისათვის დღეს ამ საკითხზედ ღია მსჯელობა ყოვლად დაუშვებელია. რა უყოთ! ეს ხელოვნური ეტი - კეტი არ არის სავალდებულო ჩვენთვის, დაპყრობილ ერების შვილებისათვის. ყოველ ესეთ მნიშვნელობის შეხლის დროს, ბრძოლათა სარბიელს ჩვენი სამშობლოები წარ- მოადგენენ და წარბაბნების პირველ ლუკმათაც მუდამ დაპყრობილ ერების შვილებს ანწესებენ. ეს გარემოება პირდაპირ გვიკარნახებს, რომ ამ მოვლენას შევხედოთ ღია ფხიზელი თვალებით და ახდილათ ვილაპარაკოთ იმაზედ, რაზედაც სხვები ხელ- ოვნურად ხუჭავენ თვალებს და ჰკუმავენ პირს.

ამ საკითხში ჩვენ არ შეგვიძლიან გავჩერდეთ და გავიყინოთ რომელიმე სახელ- მწიფოს ოფიციალურ პროპაგანდის დონეზედ. დღეს მსოფლიოს პოლიტიკური ცხოვრება ვითარდება ურყევლად თავის გუნებრივ გზით და, როგორც ადიდებული მდინარე, აღარ ეცევა და აღარ ემორჩილება არც ერთ სახელმწიფოს ოფიციალურ მართველობისთვის სახურველ კალაპოტს, მიუხედავათ მათ შეიარაღების საფეხურისა და ღირსებისა.

როდესაც ვიხილავთ მსოფლიოს განზომის შესაძლებელ სამხედრო გათამაშებას რომელიმე სახელმწიფოთა შორის, საჭიროა, რომ მკითხველს მუდამ თვალ წინ ედ- გეს ერთი მთლიანი სურათი ორთავე მოწინააღმდეგე მხარესი და მსოფლიოს საერთო პოლიტიკურ მდგომარეობისა. ამისთვის საჭირო იქნება ამ წერილში ნაწილობრივი განმეორება გევრ იმ მასალისა, რომელთაც გაკვრით ეხებოდნენ წინა წერილები.

დღეს მსოფლიოს პოლიტიკური მოვლენები ვითარდებიან კრემლის მთავრობის ინი- ციატივით და გეგმით. კრემლი აწარმოვებს უაღრეს ავრცხიულ მოქმედებას, ძველ რუსულ ეროვნულ ხაზით და ძველ ცრადიციულ ეროვნულ მეთოდებით, რომელთაც დახვლეთ- მა სახელად " ცივი ომი " უწოდა.

მსოფლიოს თავისუფალ ნაწილის სახელმწიფოთა ოფიციალურ წრეებში გაბატონე - ბულია ის აზრი, რომ ბრძოლა სწარმოობს მხოლოდ კომუნისტურ იდეოლოგიასთან. ამ

აზრის მოზიარე ელემენტებისათვის მოჩინააღმდეგე არხებობს მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრიდან და ამ მოჩინააღმდეგის მიზნებს და მოქმედების სახეს უქვემდებარებენ მარქსიზმ-ლენინიზმის თეორიას. მათ შეხედულობით მდინარე ეღბაზედ გვანან მხოლოდ ორიოდე წომი მარქსიზმ-ლენინიზმის მცნებისა და ამ მცნების ფანატიკოსი ხელმძღვანელნი რუსეთს იც - ნობენ მხოლოდ იმ ოფიციალურ კომუნიკაციების და პროპაგანდის მასალებიდან, რომელსაც წითელი მოსკოვი თითონ აწვდიდა უხვად დასავლეთს, ე.ი. დასავლეთი იცნობს საბჭოთა იმპერიას იმ სახით, როგორც თითონ მოსკოვი უხატავდა ამ სახეს და როგორც მას სურს, რომ მას დასავლეთი იცნობდეს.

ეს არ არის რუსეთის ნამდვილი ცნობა. ეს არ არის ის სახე რუსეთისა, რომელსაც იცნობენ დაპყრობილი ერები, რამოდენიმე საუკუნიან ბრძოლის განმავლობიდან. ეს არ არის სახე ჩვენ ძველ დამპყრობელისა, რომელიც დღესაც გვებრძვის, ჩვენთვის კარგად ცნობილ, ძველ მიზნით და ძველ მეთოდებით.

ვისაც სჭირია რუსეთის ნამდვილი ცნობა, როგორც დღევანდელ აქტიურ მოპირდაპირესი, მან უნდა შეისწავლოს ამ ერის სრული პოლიტიკური და სამხედრო ისტორია, დღიდან მის ჩამოყალიბებისა, როგორც ოფიციალურ სახელმწიფოსი. უამისოდ შეუძლებელია სრული გაგება და საღი შეფასება დღეს არსებულ საერთაშორისო მდგომარეობისა და იმ მოქმედებისა, რომელსაც აწარმოებს დღეს კრემლის მთავრობა. ამ მიზნით გადუშლით მკითხველს მხოლოდ რამოდენიმე ფურცელს რუსეთის ისტორიისა.

როგორც ხანა, რომელშიც ზუსტად ჩამოყალიბდა სახე რუსეთის სახელმწიფოებრივ არსებობის ყოველ დარგის და მის პოლიტიკურ ტრადიციებისა, უნდა მივიღოთ მეფობა იოანე მეოთხე, მრისხანესი /1533 - 1584/.

იოანე მრისხანე პირველი ეკურთხა ოფიციალურად როგორც მეფე რუსეთისა და, როგორც თვითმპყრობელ მმართველმა, შეუქმნა რუსეთს სანიმუშო სახე მის ტრადიციულ დიქტატორულ მმართველისა. ეს სახე რუსეთის თვითმპყრობელ დიქტატორისა დღემდის უცვლელად მეფობს კრემლის კედლებში.

იოანე მრისხანემ თავის მეფობის საძირკველი დაამყარა საგანგებო პოლიციურ აპარატზედ, რომელიც უშუალოდ ექვემდებარებოდა მხოლოდ პირადათ მას, სახელათ დაარქო " ოპრიჩნინა ". იგი უმთავრესად შეზდგებოდა საზოგადოების ნაძირალებიდან. მათი საგანგებო ნიშანი იყო უნაგირზედ მიკრობილი ცოცხი და ძაღლის თავი. არცერთ პიროვნებას და არცერთ სახელმწიფო დაწესებულებას არ იცავდა არავითარი უფლება ამ ბრბოს უღირსობის მძვინვარებისაგან.

ეს სახელმწიფო აპარატი დაარსებული იქმნა 1565 წელს და იგი იქცა რუსეთის ცხოვრების ურყევ და უცვლელ ტრადიციულ ორგანოთ. იგი არსებობს დღემდის; მისი დანიშნულება და ორგანიზაციის პრინციპები დღემდის უცვლელად არიან დაცული, შეიცვალა მხოლოდ მისი ცანისხამოხი, ნიშნების სახე [ფორმა], შეიარაღება და სახელი. მის ხხვა და ხხვა დროის სახელმა გაიარა შემდეგი ევოლიუაცია: იოანე მრისხანის დროს ერქო " ოპრიჩნინა"; რომანოვების მეფობის დროს "პრიკაზ ცაინიხ დელ ", "ყანდარმერია", "ოხრანა". კომუნისტურ მართველობის დროს:" ჩკ," " გპუ ", " ნკვდ ", " კგბ ". მაგრამ ამ სახელების შინაარსი და დანიშნულება დღემდის უცვლელი და ერთი და იგივე დარჩა [1565 წლიდან 1971 წლამდის 406 წელი !].

იოანე მრისხანეს მეფობაშივე ჩამოყალიბდა ძირითადი სახე, დებულებანი და მიმართულებანი რუსეთის აგრესიულ დამპყრობელ პოლიტიკისა.

რასაკვირველია, ყველა ამ დებულებათა ჩამოყალიბება არ წარმოადგენს იოანე მრისხანის პირად ქმნილებას და გამოგონებას. მართველობის ყველა ეს დებულებანი უკვე ტრადიციულად არსებობდნენ ამ ერის ბუნებაში და პოლიტიკურ ვითაობაში, მაგრამ, შინაგან ცხოვრების მკვეთრ პოლიტიკურ აპარატის სახით და სახელმწიფოს მუდმივ აგრესიულ მოქმედების დებულებათა საბოლოვო და ოფიციალური ჩამოყალიბება მოხდა ამ პიროვნების გაგონობის დროს.

ამ პიროვნების მეფობის ხანაში, ევროპის აღმოსავლეთ კიდეებზედ, სრულდებოდა საერთაშორისო ძალების ძირითადი გადაჯგუფება. შეკრებოდა მონგოლების მძიერების აჩრდილი და ამით თავდებოდა ისტორიის ერთი მკვეთრად ჩამოყალიბებული ხანა; იშლებოდა მსოფლიოს ისტორიის სრულიად ახალი ფურცელი, რომელიც დღეს უშუალოდ ეხება ჩვენ თაობის ცხოვრებას.

დიდან მონგოლების პირველ შემოსევისა /1223 / რუსეთის მთავარ საფრთხეს და მის უბედურობას წარმოადგენდნენ მისი აღმოსავლეთი საზღვრები, სახელდობრ ვოლგა - ურალის შუამდებარე სივრცე. აქ იყო ოქროს ურდო, რომელიც 240 წელი უშუალოდ გაგონობდა რუსეთზედ. ამ ხანაში რუსეთს არ ჰქონდა არავითარი გასაქანი დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკის წარმოებაში.

მეთოთხმეტე საუკუნის სამოციან წლებში დაიწყო ოქროს ურდოს დაკნინება. ჯერ მაგრად დაასუსტა იგი ხანრძლივ შინაურ ბრძოლამ ტახტის პრეტენდენტების შორის [1359 - 1380]. შემდეგ თემურლანგის შემოხევამ მიწასთან გაასწორა მთელი ოქროს ურდო [1395], რის შემდეგაც ოქროს ურდომ ვეღარ მიაღწია თავის ძველ ძლიერებას და პოლიტიკურ მნიშვნელობას. 1427 წელს მას გამოეყო ყირიმის სახანო და 1437 წელს დაარსდა ყაზანის სახანო.

ყაზანის სახანო რუსეთისათვის წარმოადგენდა ოქროს ურდოს საშინელების მკრთალ, მაგრამ უშუალო აჩრდილს. მართალია, ყაზანის ძალა ვერ შეედრებოდა ოქროს ურდოს ძველ ძლიერებას, მაგრამ ყაზანი უშუალო ახლო მანძილიდან ემუქრებოდა რუსეთის სახიცოცხლო ცენტრებს. სანამ აღმოსავლეთით არსებობდა ეს საფრთხე, რუსეთს არ ჰქონდა არავითარი საშუალება, თავისი აგრესიული წნევა ხისტემატიური სახით მიემართა რომელიმე მიმართულებით.

იოანე მრისხანემ ყაზანის სახანო დაიპყრო 1552 წ. ამით რუსეთისათვის სამუდამოდ მოისპო ყოველივე საფრთხე აღმოსავლეთის მხრიდან. პირიქით, რუსეთისათვის აღმოსავლეთი შეიქმნა მკვიდრად უზრუნველყოფილ ბურგათ, რომელიც მძლავრად ამაგრებდა რუსეთის სტრატეგიულ პოზიციას. ამის შემდეგ აღმოსავლეთის განუსაზღვრელ ცარიელ სივრცის დასაპყრობად რუსეთს სრულებითაც არა სჭიროდა ხისტემატიურ ომების წარმოება და დიდი ძალების ხმარება. ამ სივრცის დასაპყრობათ საკმარისი აღმოჩნდა კერძო პატარა ჯგუფების ავანტურისტული ინიციატივა.

ამგვარად, ყველაზედ სახიფათო და საშიში მხარე რუსეთის საზღვრებისა [აღმოსავლეთის საზღვარი], იქცა რუსეთის ბურგის სრულ გამაგრებათ და მკვიდრ უზრუნველყოფად. ამ მიმართულებიდან, რამოდენიმე ათასეულ კილომეტრის მანძილზედ, სრულიად შეუძლებელი იყო რამე ხერიოზულ მოწინააღმდეგის გამოჩენა, რომ ხერიოზულ თავდაცვის წარმოება მაინც შეხძლებიყო.

ყაზანის დაპყრობამ გაუნთავისუფლა რუსეთს ხელები და მისცა მას საშუალება, რომ თავის ძალება გამოეყენებინა სხვა მიმართულებებით. რუსეთმა ეს გარემოება გამოიყენა მაქსიმალურად და ამოხწურა სრულ შემძლებლობის საზღვრამდე. იგი ჩავარდა დაპყრობათა ისტერიაში. რუსეთის აგრესია მიიღვოდა შეუჩერებლივ ყველა მიმართულებით ე.ი. დასავლეთისკენ, სამხრეთისკენ და აღმოსავლეთისკენ. ყველაზედ დიდი წინააღმდეგობა ხვდებოდა მას დასავლეთიდან, უფრო ნაკლები სამხრეთიდან და თითქმის არავითარი წინააღმდეგობა აღმოსავლეთიდან.

რუსეთის ბრძის არაჩვეულებრივ სიჩქარეს ავტორიტეტიული სტატისტიკური ცნობები შემდეგი სახით აღნიშნავენ:

- ინოროდეცი თავის ნამუშევარში ამტკიცებს, რომ რუსეთის იმპერიის სივრცე 1500 წლიდან 1900 წლამდე, როდესაც რუსეთის სივრცე 22,245 მილიონ კვადრატულ კილომეტრს ითვლიდა, ყოველ დღეში საშუალოდ იმატებდა 130 კვადრატულ კილომეტრს.[1]
- გერმანული სტატისტიკური ცნობები აღნიშნავენ,[2] რომ 1676 წლიდან [მეფე ალექსი მიხეილის ძის გარდაცვალებიდან] 1876 წლამდის, რუსეთი საშუალოდ იმატებდა დღეში 90 კვადრატულ კილომეტრს. [დაჩვრილებითი სტატისტიკა რუსეთის ტერიტორიის და მოსახლეობის ბრძის იხილეთ ამ წერილის ავტორის წიგნში: "საბჭოთა სიძლიერე და უძლურება", გამოცემული ინგლისურ ენაზედ.]

ეს იდეალურად ხელსაყრელი პოლიტიკური მდგომარეობა რუსეთისა, რომელიც მას აძლევდა შეუზღუდავ საშუალებას აგრესიულ დამპყრობელ პოლიტიკის წარმოებისა, როდესაც მისი საკუთარი უშველებელი სივრცეები მტრებისთვის მიუწდომელნი იყვნენ და წარმოადგენდნენ დიდ სამხედრო ღირებულების ელემენტს, როდესაც მას არავითარი ბრუნვა არა ხჭირდა თავის აღმოსავლეთ საზღვრებზედ და ბურგზედ, გაგრძელდა ხრული 400 წელი, 1552 წლიდან 1956 წლამდის.

1956 წელს მკვეთრად გადიკვეთა რუსეთის შეუზღუდავ აგრესიობის იდეალურად ხელსაყრელი ხანა და ძირითადათ შეიცვალა მისი პოლიტიკური მდგომარეობა მსოფლიოს ხარბიელზედ. რა მნიშვნელობას მიაღწია ამ იმპერიამ თავის განვითარების უმაღლეს წერტილში და რა პროცესში იმყოფება მისი დღევანდელი ვითარება ? აი ეს საკითხი ბდგას დღეს მსოფლიოს წინაშე.

მაგრამ, სანამ ამ საკნის განხილვას შეუდგებოდეთ, საჭიროა შევეხოთ ერთ ფრიად დამახასიათებელ მოვლენას. იოანე მრისხანეს მეფობის დროშივე ჩამოყალიბდა მის პოლიტიკური მანევრი, რომელიც შემდეგში იქცა რუსეთის მოქმედების რჩეულ ეროვნულ სახეთ, რომელსაც დღეს "ცივი ომი" ჰქვიან და, რომელიც დასავლეთს დააწყდა თავზედ, როგორც ხრულიად მოულოდნელი და ახალი სახე აგრესიულ შეცვლისა

---

1). Inorodetz, " La Russie et les Peuples Allogènes ", Bern 1918.

2). " Völker, Volksgruppen und Volksstämme auf dem ehemaligen Gebiet der UdSSR " bearbeitet von Dr. Gerhard Teich und Dr. Heinz Rubel.

ყაზანის საბოლოო სამხედრო დაპყრობა მოხკოვმა მოამზადა დიდი სიფაქიზით განსაკუთრებულ პოლიტიკურ მოქმედებით. ამ პოლიტიკურ მოქმედებას მოხკოვი აწარმოებდა, ქალაქ ყაზანის კედლების აფეთქების, ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის, წინ.

1519 წელს მოხკოვმა გამოიყენა ყაზანის ხანგრძლივი შინაგანი ბრძოლა და, სამხედრო ძალების დახმარებით, ყაზანის ტახტზედ აიყვანა თავის საკუთარი კანდიდატი /"ხტავლენნიკ"-ი / შახ ალი / რუხულ წყაროებით შიგ ალი /. 1521 წ. ყაზანმა ჩამოაგდო ტახტიდან ეს რუხების აგენტი. 1551 წ. შახ ალი ახალად ავიდა ყაზანის ტახტზედ მოხკოვის ჯარის დახმარებით.

ამ ხანგრძლივ შინაგან ბრძოლამ, რომელსაც მოხკოვი ხელოვნურად ჰქმნიდა და აარჩევდა, იხე დაახუსტა ყაზანის სახელმწიფო და იხეთ მდგომარეობამდის მიიყვანა იგი, რომ მას მხოლოდ ქალაქ ყაზანის კედლების ემბლემატიური დაცვაღა შეეძლო. მოხკოვის პოლიტიკურ ინტრიგებმა ჯერ კიდევ ფორმალურ დაპყრობის წინ მოუხვეს ყაზანის სახელმწიფოს ყოველი სამუალებანი მიზანშეწონილი თავდაცვისა. რასაკვირველია, ყაზანის შინაგან საქმეებში მოხკოვი ერეოდა, ვითომ და, თვით ყაზანის პოლიტიკოსების თხოვნაზედ. საჭიროა ეს შაბლონი კარგათ იყოს დახსომებული. ბოლოს ბოლოს 1552 წ. ექვსი კვირის სააღყო ბლოკადის შემდეგ რუხებმა ააფეთქეს ქალაქის კედლები და აიპყრეს იგი.

ეს არის პირველი გადალახვა რუხეთის მიერ თავის ეთნოგრაფიულ საზღვრებისა და პირველი აგრესიული ნაბიჯი დამთავრებული სრულ დაპყრობით, რომელშიც მთლიანად იქმნა გატარებული და მკვეთრად ჩამოყალიბებული რუხეთის სტილის დაპყრობის სრული სქემა.

ე.ი. დაპყრობის პროცესის პირველ და მთავარ სტადიას წარმოადგენს ამორჩეულ მსხვერპლის შინაგან სახელმწიფოებრივ ცხოვრების ხისტემატიური ნგრევა. რუხეთი ერევა მხვერპლის შინაგან ცხოვრებაში; უჭერს მხარს ერთ ერთ პოლიტიკურ მიმართულებას. ხანდისხან, მდგომარეობის გახართულებლათ, ეხმარება და აქეზებს ორ მოწინააღმდეგე ჯგუფს ერთდროულად. რუხეთი ერევა მსხვერპლის შინაგან საქმეებში, მუდამ და ყოველ გამონაკლისის გარეშე, ვინმეს თხოვნის და მიპატიჟების ნიადაგზედ. დაპყრობის ეს სტადია არის გრძელი და რუხეთის მიერ წარმოებული და მომზადებული დიდი სიფაქიზით. ამ სტადიამ, დახაპყრობათ განწესებული სახელმწიფო, უნდა მიიყვანოს სრულ შინაგან დანგრევამდის და პოლიტიკურ უძლურებამდის.

მხოლოდ მაშინ, როდესაც მხხვერპლი მიყვანილია სრულ უძლურებამდის, რუსეთი აცარებს უკვე უმნიშვნელო ფაქტიურ დაპყრობის ცერემონიალს. ამ მეორე ხარისხოვან ემბლემატიურ როლს ასრულებენ მოსკოვის შეიარაღებული ძალები.

დაპყრობის ამ პროცესს, როგორც იოანნე მრისხანეს ხანის ყველა სხვა პოლიტიკურ დებულებებს, კრემლის ყოველი მორიგე მფლობელნი იცავენ სრულიად უცვლელად და დიდის სიფაქიზით თვით დღევანდელ დღემდის.

როდესაც 1945 წლის შემდეგ, იოანნე მრისხანის ეს ძველი მანევრი, მოსკოვმა აამუშავა დასავლეთის წინააღმდეგ, დასავლეთს ეს დააცყდა თავზედ, როგორც სრული მოულოდნელობა და როგორც ახალი, ყოვლად უცნობი მოვლენა. დღეს ამ მანევრს დასავლეთის პოლიტიკურ ლექსიკონში " ცივი ომი " ჰქვიან და ცნობილია, როგორც ნაწილი " ფსიქოლოგიურ ომისა ", რომელშიც ჯერჯერობით დასავლეთი მარცხდება.

იოანნე მრისხანის ამ ძველი, ოთხას წლიან უცვლელ მანევრით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, რუსეთმა მიაღწია მთელ თავის ისტორიის უმაღლეს წერტილს, თავის პოლიტიკურ ძლიერებისა.

რა პოლიტიკური ევოლუცია გაიარა საბჭოთა კავშირმა საერთაშორისო ხარისხზედ, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ?

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბავი დამყარებული იქმნა ე.წ. ორ ზეძლიერებათა ხისტემაზედ, ე.ი. დამყარებული იქმნა შეერთებულ შტატების და რუსეთის ჰეგემონია მთელ მსოფლიოზედ. მაგრამ ამ ორ ზეძლიერებათა შორის ვერ დამყარდა ვერც ღიაღური თანამუშაობა და ვერც ძალთა წონასწორობა.

ბავის პირველ წლებში შეერთებულ შტატების სამხედრო ძლიერება ბევრად აღემატებოდა საბჭოთა კავშირის შემძლებლობას. შეერთებულ შტატებს ჰქონდათ ატომის იარაღის სრული ფაქტიური მონოპოლი და სრული ტეხნიკური და ეკონომიური უპირატესობა რუსეთზედ, მაგრამ, ეს პოლიტიკური მდგომარეობა არ გაგრძელდა დიდ ხანს.

უკვე ბავის პირველ წლებშივე გამოირკვა, რომ მოსკოვი თავის თავს ხთვლის სრულ განუკითხავ და სამუდამო ბატონ-პატრონათ ყველა იმ ტერიტორიისა, რომელზედაც

შემთხვევით დაწდგა ფეხი საბჭოთა ჯარის კაცმა.

ამავე დროს დახავლეთ ევროპაში დაიწყო ძველ დიდ იმპერიების დაშლის პროცესი. ეს მოვლენა თავისთავად ამაგრებდა საბჭოთა კავშირის პოზიციას საერთაშორისო ხარვიელზედ.

ამ მოვლენებთან ერთდროულათ შორეულ აღმოსავლეთში მოხდა ცვლილება, რომელმაც რუსეთის პოლიტიკური ხიძლიერე მიიყვანა, ისტორიისთვის უცნობ, სიმაღლემდის: ჩინეთში გათავდა შინაგანი ბრძოლა და სამოქალაქო ომი, რომელიც გრძელდებოდა რამოდენიმე ათეული წელი და ამ სახელმწიფოს ხელოვნურად შეყოფდა რამოდენიმე, ერთიმეორის წინააღმდეგ მებრძოლ, ნაწილათ. ჩინეთი გაერთიანდა კომუნისტურ ხელის უფლების ქვეშ.

ამ ხანაში, მთელ დედამიწის ბურგზედ, ყოველი კომუნისტური პარტია თავისთვის სავალდებულოდ სთვლიდა მხოლოდ კრემლის ახსნა-განმარტებას მარქსიზმ-ლენინიზმის დოგმატიკისა და კრემლის ყოველივე კარნახს ყოველ ადგილობრივ მოქმედებაში. ესეთ პირობებში ჩინეთი ავტომატიურად აღმოჩნდა რუსეთის პროტექტორატის ხელქვეით ვახალურ ქვეყნის მდგომარეობაში, ამ სიტყვის მთელ პოლიტიკურ მნიშვნელობით.

მაღე რუსეთმა შეიძინა ატომის იარაღის პროდუქციის საშუალებაც და ამით მოიხპო შეერთებულ შტატების მთავარი ტეხნიკური უპირატესობა.

მოსკოვის იმპერიის სამფლობელო, ამ ხანაში, ფაქტიურად გადიჭიმა ჩინეთის აღმოსავლეთ და სამხრეთ საზღვრებიდან მდინარე ელბის ნაპირებამდის. ევრ-აზიის კონტინენტის მეტი ნაწილი და კაცობრიობის ცოცხალ ძალების უდიდესი აუზი რუსეთის ხელქვეით აღმოჩნდნენ. როგორც სივრცით, იხე მოსახლეობის რიცხვით, კაცობრიობის ისტორიაში ეს იყო უმაგალითო მიღწევა. ამ პირობებში, რუსეთის მოსაზღვრე ნაწილების საგუშაგოებს მდინარე ელბის ნაპირებზედ, სულ სხვა მნიშვნელობა ჰქონდათ ვიდრე დღეს. ამ დროს მთელი დასავლეთი უკვე რუსეთის ცივი ომის სამხერაცით მაგიდაზედ იმყოფებოდა.

ეს იყო უმაღლესი წერტილი მოსკოვის იმპერიის პოლიტიკურ ძლიერებისა. ამ სახით გადასცა თავის მემკვიდრეებს ეს სახელმწიფო, კრემლის მეორე წითელ თვითმპრობელმა.

დახავლეთისთვის "ცივი ომი" აღმოჩნდა ყოვლად მოულოდნელ და უცნობ სახეთ პოლიტიკურ მოქმედებისა. დახავლეთმა ვერ მოახერხა ვერავითართანასწორ საჭინააღმდეგო იდეოლოგიის ჩამოყალიბება. მოვლენები ვითარდებოდნენ მხოლოდ კრემლის ინიციატივით და მისი სურვილის ხაბით. დახავლეთთან ბრძოლა მოსკოვმა მკვიდრათ დააყენა შინაგან კლასხობრივ ბრძოლის ღიანაგზედ და ბრძოლას ჩამოაშორა ყოველივე ელემენტები სახელმწიფოებრივ და ეროვნულ ჩინააღმდეგობისა.

დრო თითქოს მხოლოდ მოსკოვისთვის მუშაობდა. მას მხოლოდ ნერვების ხილინჯე სჭიროდა. ეს მდგომარეობა კრემლის მორიგე თვითმპყრობელმა დაახასიათა მდაბიო და ცინიკური ენით: " ჩვენ დაგმარხავთ თქვენ!" გარეგნულად იმ ჭუთებში თითქმის ჰქონდა კიდევაც დახაბუთებული ნიადაგი, რომ მას ეს ეთქვა. მაგრამ, ისტორიის ვითარებამ ცხად ჰყო, რომ ამ აზრის გამოთქმის ჭუთებში, მას უკვე გადალახული ჰქონდა თავის იმპერიის ბოლოს დახაჭყისის ჭერცილი.

როგორც უკვე აღნიშნული იქმნა, მოსკოვის იმპერიამ თავის ძლიერების უმაღლესი ჭერტილი გაიარა 1956 ჭელს და აჩქარებული სისჭრაეით დეეშო ქვეით. რა მოხდა ამ ჭელს, ეს სრულიად გარკვეულად არის აჭერილი ამ გამოცემის რვეულებში 4,5, და 6 ნომრებში. დღეს საჭიროა განვიხილოთ მხოლოდ შედეგები ამ მოვლენების და მათი მიმდინარე განვითარება.

კომუნისტური ჩინეთი, იხევე როგორც თვით რუსეთის კომუნიზმი, დადგა სრულ საკუთარ ეროვნულ ხაბზედ. ჩინეთის მდგომარეობა შემდეგია: ჩინეთი მოსახლეობის რიცხვი უკვე აღჭევს 800.000.000. ჭლიურათ მას ემატება დაახლოვებით 15 მილიონი ახალ მოსახლეობისა. ამ ერს უკვე აკლდება სასუნთქი სივრცე. ამავე დროს მის ჩრდილოეთით არსებობს სრულიად ცარიელი ციმბირი თავის მიუჭდომელი სივრცეებით და სიმდიდრით.

ეს ბუნების უბრალო ჭესია, რომ ორთქლის ეხეთი ჭნევით დატვირთულ ქვაბმა, როგორც ჩინეთი, რომლის გვერდითაც იმყოფება იხეთი სიცარიელე როგორც ციმბირი, უეკველად უნდა იფეთქოს. ამ პირობებში არავითარი მნიშვნელობა არა აქვს სახელმწიფოს შინაგან ჭყობილების თეორიას, როგორც მაგალითად, მარქსიზმ-ლენინიზმის კომუნისტურ პრინციპებს, თუ კაპიტალისტურ ჭყობილების დებულებებს.

ჩინეთის და რუსეთის შეხლა დაიჭყო იმ დროს, როდესაც ჩინეთის სათავეში იმყოფება კომუნისტური მთავრობა. ეს ფრიად საინტერესო და დამახასიათებელი მოვლენაა. ე.ი. გაერთიანდა თუ არა ჩინეთი და დაღგა საკუთარ ფეხზედ, მაშინვე დაინახა, რომ შეუძლებელია მის ეროვნულ ინტერესების შეგუება რუსეთის ეროვნულ

აგრესიულ პოლიტიკურ მოქმედებასთან. ეს ხდება ჩინეთის კომუნისტურ მთავრობის დროს. თუ ეს კომუნისტური მთავრობა ეხე მაგრა ბდგას თავის ეროვნულ ჩინურ ხაბბედ, მაშ რა გეზს აიღებს ჩინეთი, თუ მის სათავეში აღმოჩნდა რომელიმე მემარჯვენე მთავრობა?

ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ეს არ არის რამე თეორიის ახსნა-განმარტების განსხვავება, არამედ ეს არის სამუდამო შეხლა ორ დიდ სახელმწიფოთა სასიცოცხლო ინტერესებისა, რომლის მორიგებაც რამე კომპრომისით ყოვლად შეუძლებელია. რასაკვირველია დროებითი თანამოქმედება რამე დაბალ ხარისხოვან ეკონომიკურ საფეხურზედ მუდამ შესაძლებელია ამ სახელმწიფოთა შორის, მაგრამ, მკვიდრ საძირკველზედ დამყარებული ხანგრძლივი მორიგება მათ შორის ყოვლად შეუძლებელია.

დღეს რუსეთისათვის ძალიან ხელსაყრელი და სასურველი იქნებოდა, რომ ჩინეთის სათავეში რამე უკიდურესი მემარჯვენე მთავრობა იმყოფებოდეს. მაშინ მოსკოვი ჩინეთის წინააღმდეგ გააჩაღებდა "ცივ ომს" და კომუნისტურ პროპაგანდას. ამ მდგომარეობაში რუსეთს, თეორიულად მაინც ექნებოდა იმედი, რომ თუ ჩინეთში მოახდენდა კომუნისტურ გადატრიალებას და მის სათავეში დაუყენებდა კომუნისტურ მთავრობას, ამ წითელ მთავრობას უეჭველად მოურიგდებოდა. დღეს რუსეთისათვის ეს იმედი სულ მთლად მოსპობილია. რუსეთის ოთხას წლიანი ცრადიციის "ცივი ომი" დღეს სრულიად უძლურია კომუნისტურ ჩინეთთან ბრძოლაში.

ამით დაიწყო სრულიად ახალი ხანა მოსკოვის იმპერიის ოთხას წლიან ისტორიაში. მოსკოვი თავის ისტორიაში პირველად შეეჯახა თავის აღმოსავლეთ კიდეებზედ მძლავრ აგრესიულ ძალიერებას დიდ რიცხობლივ უპირატესობით, რომლის ტექნიკური შემძლებლობა იბრდება დიდი სიჩქარით და ამავე დროს არ არის გრძნობიარე მოპირდაპირის ტექნიკურ უპირატესობაბედ.

ამით რუსეთს თავს დააცყდა სრულიად ახალი, ყველაზედ მძლავრი და ბნელი ომის ახპარები, სწორედ იმ მიართულებიდან, რომლიდანაც არ მოელოდა არავითარ ხერიოზულ საფრთხეს და თავს სრულიად უზრუნველყოფილად სთვლიდა.

ამავე დროს თავის დასავლეთ საზღვრებზედ რუსეთი განიცდის თავის ისტორიის ყველაზედ მწვავე მომენტს - რუსეთის პიკეტებს მდინარე ელბის ნაპირებზედ ევროპა მოითმენს მხოლოდ და მხოლოდ პირველ ხელსაყრელ მოვლენამდის.

უფრო ცუდ და მწვავე მდგომარეობაში იმყოფება რუსეთის შინაგანი მდგომა-

რეობა დაპყრობილ ერების მიმართ. 1956 და 1968 წლების ხიხხლში ჩაღრჩობილ აჯანყებების ჭრილობები ჯერ კიდევ ღია იარებს წარმოადგენ დაპყრობილ ერებისათვის. და ამ ერების პოლიტიკური მდგომარეობა არას დროს არ ყოფილა ეხეთ ერთდრულ აფეთქების განწყობილებაში, როგორც დღეს.

ეხეთ პოლიტიკურ და სამხედრო მდგომარეობაში იმყოფება დღეს მოსკოვის იმპერია და მხოლოდ ამ პოლიტიკურ ჩარჩოებში შეიძლება განხილვა ამ სახელმწიფოს თავდაცვის ან შესაძლებელ აგრესიულ პოლიტიკის განხილვა და შესწავლა.

სანამ შეუდგებოდეთ რუსეთის დღევანდელ სამხედრო მდგომარეობის განხილვას, აუცილებელია, რომ ერთხელ კიდევ გადავხედოთ ამ სახელმწიფოს სამხედრო განვითარების ისტორიას.

400 წლის განმავლობაში რუსეთი იზრდებოდა არაჩვეულებრივ სიჩქარით მხოლოდ იმიტომ, რომ მას აღმოსავლეთიდან ბურგი სრულიად უზრუნველყოფილი და გამაგრებული ჰქონდა. სამხედრო თვალსაზრისით აღმოსავლეთ საზღვრების საკითხი არ არსებობდა მოსკოვისთვის. ამ სახელმწიფოს ჰქონდა მხოლოდ ერთი ასპარები ომისა - დასავლეთის ასპარები.

მართალია დასავლეთის საზღვრების გარდა რუსეთს ჰქონდა სამხრეთის აქტიური მიმართულებაც, რომელიც თითქმის სრულიად დამოუკიდებელ ომის ნაკვთს წარმოადგენდა, მაგრამ ეს მიმართულება უმაღლეს სტრატეგიულ საფეხურზედ უშუალოდ უერთდებოდა დასავლეთის მოქმედებებს და მასთან ერთად ჰქმნიდა ომის ერთ ასპარეზს.

ამ საუცხოვო ხელსაყრელ პირობებმა მისცეს რუსეთს საშუალება მის სწრაფ და თითქმის განუსაზღვრელ გაზრდისა.

რუსეთის ტერიტორიის მიუწდომელი სიდიდე და მისი ბავის განსაკუთრებული თვისებანი, წარმოადგენდნენ მკვეთრად ჩამოყალიბებულ სამხედრო ელემენტებს, რომელნიც, ამ ტერიტორიაზედ წარმოებულ ყოველ სამხედრო მოქმედებას, უკარნახებდნენ მოქმედებათა თავის განსაკუთრებულ სახეს. ამ სივრცის ეს თვისებანი წარმოადგენდნენ მოსკოვის იმპერიის ერთ-ერთ პასიურ, მაგრამ ძალიან დიდ ღირებულების სამხედრო ელემენტებს.

ტერიტორიის განუსაზღვრელი სივრცეები რუსეთს აძლევდნენ საშუალებას, რომ

ყოველთვის ეცილებინა თავიდან ისეთი ბრძოლა, რომელიც ეწყობოდა მისთვის არახახურველ პირობებში. ესეთ ბრძოლის თავიდან ასაცდენათ საკმარისი იყო უკან დახევა და ტერიტორიის ნაწილობრივი დათმობა დროებით. ამ მანევრით რუსეთს მუდამ შეეძლო ომის გაგრძელება რამდენი ხანიც მას ხურდა და მტერი ისე დეეშორებინა თავის ხაომარ ბაზებიდან, რომ მას ვეღარ შეხძლებიყო სამხედრო მოქმედებათა წარმოება.

ამავე დროს რუსეთის ჰავა თავისი გრძელ და ცივ ზამთრებით, გაზაფხულის წყალდიდობით და შემოდგომის და გაზაფხულის ხანგრძლივი ჭყაპებით, წლის უმეტეს ნაწილში შეუძლებელ ხდიდნენ აქტიურ და ჩქარ მოძრაობითი სამხედრო მოქმედებებს.

ამ თვისებათა სამხედრო ღირებულება კარგათ ეხმოდათ თვით რუსეთის ხარდობას და მის უშუალო მეზობელ სახელმწიფოთა მხედრობას. მაგალითად: 1812 წლის რუსეთის სამამულიშვილო ომის გეგმა შედგენილი იყო არა რუსეთის ხარდობის მიერ, არამედ იგი შეხთავაზა რუსეთს პრუსიის გენერალ ჰჰუღმა. იგი იყო ფრიდრიხ დიდის შტაბის ოფიცერი და რუსეთის სამსახურში შევიდა 1806 წელს.

მოხკოვის იმპერიის ტერიტორიის ამ თვისებათა მთელი სამხედრო ღირებულობა მუშაობდა მხოლოდ და მხოლოდ რუსეთის სახარგებლოთ და მუდამ შემომხევ ძალების წინააღმდეგ. ეს მდგომარეობა გაგრძელდა მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებამდის, სანამ ომის მანქანას წარმოადგენდა შედარებით პატარა პროფესიონალური ჯარი. ე.ი. ბუნების ეს ხელსაყრელი პირობები რუსეთისთვის მუშაობდნენ, სანამ რუსეთი იძულებული იყო, რომ შემოელო საყოველთავო სამხედრო ბეგარა, ისე, როგორც ეს მიიღეს ევროპის კონტინენტის დანარჩენ დიდ სახელმწიფოებმა.

როგორც ეს აღნიშნული იყო წინა წერილებში, საყოველთავო სამხედრო ბეგარა რუსეთმა მიიღო 1874 წლის 1 იანვარს. ამ რეფორმის მიღებით ევროპის სახელმწიფოთა შეიარაღებულ ძალების რიცხობრივ შემადგენლობამ ძალიან მაღლა აიწია და მიაღწია აქამდის უცნობ დონეს. თვით რუსეთმა, თავის რეგულირულ სამსახურის და მის გაწვრთვნილ თადარიგის /რეზერვის/ რიცხვით, მსოფლიოში დიდი ხნით დაიკავა პირველი ადგილი.

ამ სამხედრო რეფორმასთან ერთად დაიბადა საკითხი ამდიდ ძალების ხერხით მობილიზაციისა და მათი ჩქარი მიყვანა და დაჯგუფება ვანშრახულ ომის საზრძოლო ახპარეზედ ე.ი. მობილიზაციის და კონცენტრაციის ჩქარი გატარების საკითხი. პირველ რიგში ეს შეიქმნა გზათა ქსელის ვარგისობის საკითხად, რომ მას შეხძლებიყო მასხიერ ტრანსპორტების გაძღოლა.

/ აქ უნდა აღვნიშნოთ ხაგვახმით, რომ იმ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს საყოველთაო სამხედრო ვალდებულება, ხაზოგადოებას არა აქვს წარმოდგენა, თუ რას ნიშნავს ჯარის მობილიზაცია და კონცენტრაცია იმ ქვეყნებში, რომელშიც არსებობს საყოველთაო სამხედრო ვალდებულების წესი, როდა ეხეთ სახელმწიფოს მოჭირნაყმდეგე ზღვას იქავე, ხმელეთის საზღვრის მეორე მხარეზედ და აქვს ეხეთივე სამხედრო ორგანიზაცია./

დღიდან სამხედრო რეფორმის მიღებისა, რუხეთის ტერიტორიის ხსნებულ განსაკუთრებულ თვისებებმა, რომელნიც აქამდის მხოლოდ და მხოლოდ რუხეთის სახარგებლოთ მუშაობდნენ, ნელ-ნელა იჩინეს თავიანთი უარყოფითი თვისებანი და შებრუნდნენ სწორედ რუხეთის წინააღმდეგ. ტექნიკის განვითარებასთან ერთად, რუხეთისათვის მავნე ბუნების ამ თვისებათა გავლენა თანდათან იზრდება და ძლიერდება.

ყველასათვის კარგათ არის ცნობილი, რომ სამხედრო მოქმედებებისთვის გზათა ქსელს მუდამ პირველ ხარისხოვანი და გარდამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდათ. 1825 წ. ინგლისში აშენებული იქმნა პირველი რკინის გზა. უკვე 25 წლის შემდეგ, მთელ ევროპის ტერიტორიაზედ, გზათა ქსელის სამსახურის მთელი სიმძიმე, როგორც ეკონომიური, ისე სამხედრო თვალსაზრისით, რკინის გზათა ქსელზედგადავიდა. აქ პირველად იჩინა თავი მოსკოვის იმპერიის ორგანიულ განუკურნავ ნაკლმა, სახელდობრ: გზათა ქსელის სისუსტემ და ნაკლულოვნებამ. ეს არ არის რომელიმე მორიგე მთავრობის დროებითი ნაკლი ან შეცდომა, ეს არის ბუნებრივი ნაკლი ამ იმპერიისა.

გზათა ქსელის სიხშირე და მეცადრე რკინის გზათა ქსელის, უშუალოდ ექვემდებარება მოსახლეობის სიხშირეს. იქ, სადაც ტერიტორიის სივრცეები განუზომელ სიდიდეს აღწევენ, ისე როგორც რუხეთში, მოსახლეობაც გაფანტულია და არ არის დასახლებული განუწყვეტელ ხშირი მასის სახით. ეხე გაფანტული მოსახლეობა ვერ შეინახავს რკინის გზების ხშირ ქსელს. ესეთ პირობებში ბუნებრივია, რომ რკინის გზებიც მუდამ, მოსახლეობის სითხის სათანადოთ, სუსტად გაშენებულ ქსელს წარმოადგენენ. ეს ორგანიულ ნაკლი წარმოადგენს მუდმივ კოშტობას დიდ სივრცეზედ გაფანტულ სახელმწიფოსი, რომელთა გზათა ქსელი ვერ ეწევა და ვერ აკმაყოფილებს მიმდინარე სამხედრო მოთხოვნილებებს.

კი, მართალია, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა პატარა ტერიტორიაზედ ხშირად შეხვდებით ისეთ მაგალითს, რომ ღიანდაგის რამოდენიმე შტო აშენებულია მხოლოდ და მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით. მაგრამ, დასავლეთ ევროპის

რკინის გზის ესეთი შტოები თავის სიგრძით იშვიათად აღემატებიან რამოდენიმე ათეულ ან ას კილომეტრს. დასავლეთი ევროპა იმდენათ ხშირად არის დასახლებული, რომ რკინის გზის ესეთი შტოებიც ეკონომიურად თითონ ინახავენ თავიანთ თავს.

ამ მოვლენის ყველაზედ მკვეთრ მაგალითს წარმოადგენს ძველ გერმანიის იმპერიის აღმოსავლეთ პრუსიის პროვინცია, სადაც გზათა ქსელი თითქმის მხოლოდ სამხედრო თვალსაზრისით იყო გაშენებული. ამ რკინის გზების წყალობით იყო, რომ 1914 წელს გერმანიამ მოიგო ტანენბერგის ბრძოლა გენ. სამსონოვის არმიის განადგურებით და შემდეგ უკუაგდო გენ. რენენკამფის არმია.

ამ მაგალითებით არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ვიხელმძღვანელოთ რუსეთის გზათა ქსელის განხილვაში. რუსეთის ტერიტორიაზედ ვერ ააშენებთ რამოდენიმე ათას კილომეტრის სიგრძის მკვდარ რკინის გზას, რომელიც თავის ვერ შეინახავს ეკონომიურად და , რომლის შესანახავათაც ხაზინამ უნდა გაიღოს ფული. ამას ემატება ზედ რუსეთის ჰავის განსაკუთრებული პირობები, რომელნიც აძნელებენ რკინის გზის მოვლას და შენახვას გამოუყენებელ სამომრავო ქარავნისა. ვერც ერთი სახელმწიფო ვერ გაუძლებს ესეთ მკვდარ ტიანდაგის შენახვის ხარჯებს განუწვრეტელ მომავლის სიგრძეზედ.

ჯერ კიდევ პირველ მსოფლიო ომის წინ, მშვიდობიან დროშივე, როგორც თვით რუსეთის სარდლობისათვის, აგრეთვე მის მოკავშირეებისათვის და მოწინააღმდეგეთათვის, ხრულიად ცხადი იყო, რომ რუსეთის გზათა ქსელის თვისებანი, რუსეთის საომარ მზადებას და მოქმედებებს, აყენებდნენ განსაკუთრებულ პირობებში.

ყოველ სახელმწიფოს სარდლობისათვის ცხადი იყო, რომ რუსეთი ვერ მოახერხებდა თავის უამრავ ძალების მობილიზაციის გაფარებას იმეთ სიჩქარით და გამოთვლით, როგორც ეს მზადდებოდა ევროპის დანარჩენ სახელმწიფოებში. ამ დაგვიანებულ მობილიზაციის შემდეგ უფრო მეტად უნდა დაგვიანებულიყო ჯარის დაჯგუფება საზღვრებზედ თავის საომარ განწესების თანახმად /ე.ი. კონცენტრაცია/.

ეს დაგვიანება იმეთ სახეს ღებულობდა, რომ როგორც თვით რუსეთის, იმე მოკავშირე და მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა გენერალური შტაბები, ამ დაგვიანებას უკვე მშვიდობიან დროშივე კონკრეტიულად იღებდნენ მხედველობაში თავიანთ სამხედრო გეგმებში.

სამხედრო თვალსაზრისით, მეოცე საუკუნის ტექნიკის პირველი დიდი მიღ-

წევა ფრენოხნობა არის. პირველ მსოფლიო ომში იგი პირველ დაწყებით გამოუცდელ ხანაში იმყოფებოდა. მეორე მსოფლიო ომში ფრენოხნობა უკვე იარაღის დამოუკიდებელ სახეს წარმოადგენდა და ბოლოს აიწია დამოუკიდებელ ძალების საფეხურამდე როგორც, მაგალითად საბღვაო და ხმელეთის ძალები. რუხეთის საკითხში, ბრძოლის ველზედ უშუალო მოქმედების გარდა, საინტერესოა ამ იარაღის გავლენა რუხეთის შეიარაღებულ ძალების ბურგზედ და მის გზათა ქსელზედ.

უკვე მეორე მსოფლიო ომის დონეზედ მდგომ ფრენოხნობამ შესძლო სრული შეჩერება რკინის გზათა ქსელის მოძრაობა იქ, სადაც ეს ქსელი ხუსტად იყო განვითარებული. ეს აღვილი გასაგებია, რომ რაც ხუსტათაა განვითარებული რკინის გზათა ქსელი, იგი მით უფრო მეტად არის მგრძნობიარე მოწინააღმდეგის ფრენოხნობის მოქმედებაზედ. ცხადათ გამოჩნდა, რომ ისე ხუსტად განვითარებული რკინის გზათა ქსელი, როგორც მაგალითად იტალიაში, ბალკანეთის სახელმწიფოებში და კიდევ სხვა, შესაძლებელი იყო სრულიად შეეჩერებინა, ჯერ ისევ იმ დროის ფრენოხნობას.

ამ მხრივ რუხეთის რკინის გზათა ქსელი, პირდაპირ უმწეო მდგომარეობაში იმყოფება, სახელდობრ: ძალიან გრძელი ხაზები /ათასეულ კილომეტრის სიგრძენი/ და ძალიან ცოტა კვანძები. რუხეთს არ მოეპოება საშუალება, რომ ერთ გზაზედ გაშვებული ტრანსპორტების მდინარე, იმავე მიმართულების სხვა ხაზზედ გადიყვანოს. სამხედრო ენით რომ ვსთქოთ, რუხეთს არ მოეპოება ტრანსპორტების ვარიაციის საშუალება.

ესეთ გზათა ქსელის შესაჩერებლათ არ არის საჭირო, რომ ფრენოხნობამ მიიტანოს იერიში კარგათ დაცულ კვანძებზედ. საკმარისია ლიანდაგების დაზიანება ღია ველზედ. კვანძების მცირე რიცხოვნობის გამო, დაგუბებული ტრანსპორტები თითონვე ჩაკეტავენ ყველა კვანძებს /სწორედ იმის წინაუკმო ტაქტიკა, რომელიც საჭიროა კარგათ განვითარებულ გზათა ქსელის წინააღმდეგ/.

ამ შედეგის მისაღწევათ არ არის აუცილებელი მოწინააღმდეგის ფრენოხნობის დიდი რიცხობლივი უპირატესობა; ამ მიზნის მიღწევა შეუძლიან მოწინააღმდეგის ცოტა ხუსტ ფრენოხნობასაც.

მიმოსვლის /კომუნიკაციის/ საშუალებათა ტეხნიკურ განვითარებასთან ერთათ, რუხეთის რკინის გზების შემოთ აწერილ ბუნებრივ ნაკლებს, მიემატა

კიდევ ერთი ეხეთივე ბუნებრივი დიდი ნაკლი. ბუნების პირობათა გამო ეს ახალი საშუალებანი უკეთესად ემსახურებიან სხვა სახელმწიფოებს, ვიდრე რუსეთს.

დღეს ყოველ სახელმწიფოში ძალიან დიდ როლს თამაშობს ავტოტრანსპორტი. ავტოტრანსპორტი არის მხოლოდ რკინის გზის ტრანსპორტის დამხმარებელი და შემავსებელი საშუალება. მას აქვს მკვეთრი საზღვარი თავის მიზანშეწონილ გამოყენების მანძილისა, რომლის გადამეტებაც უაზროთ ხდის ავტოტრანსპორტის გამოყენებას. ავტოტრანსპორტი საუცხოვოდ ეზმევა და ახრულყოფილებს ევროპის სახელმწიფოების რკინის გზების სატრანსპორტო სისტემას.

ამ საკითხშიც, რუსეთის უშველებელი სივრცეები და მისი შავის ხსენებული განსაკუთრებული თვისებანი, კიდევ ერთხელ იჩენენ თავიანთ უარყოფით გავლენას, სახელდობრ: ეს თვისებანი თითქმის ნახევარზედ მეტად სპობენ ავტოტრანსპორტის იმ ღირებულებას, რომელსაც იგი იჩენს ევროპის სახელმწიფოებში.

ეს არის საერთო დამახასიათებელი მდგომარეობა რუსეთის მიმოხვლის /კომუნიკაციის/ სისტემისა. აქ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს ხაზგასმით, რომ ეს არ არის რაზე დროებითი და გარდამავალი ნაკლი გამოწვეული რომელიმე მთავრობის, ან წყობილების შეცდომით ან დაუდევრობით. ეს არის შედეგი უძველეს ბუნების პირობებისა და ტეხნიკის განვითარებასთან ერთად, ამ ნაკლების უარყოფითი მნიშვნელობა თანდათან იზრდება და უფრო მეტად ართულებენ მასიურ ტრანსპორტების საკითხს.

ეს არის კრებული მოსკოვის იმპერიის საერთო გეოგრაფიულ თვისებებისა. ამ საერთო თვისებათა გარდა, ყოველ განცალკევებულ სამარ ახპარებს აქვს თავისი განსაკუთრებული დამატებითი თვისებანი და სიძნელენი, რომელნიც ცალკე უნდა იქმნენ განხილულნი.

არხებობს კომუნიკაციის კიდევ ერთი საშუალება - ეს არის ავიო ტრანსპორტი, რომელიც დღეს ძალიან პოპულიარულია.

დღეს ფრენოსნობამ მიაღწია უკვე იხეთ ტეხნიკურ საფეხურს, რომ აკმაყოფილებს ყოველ სამგზავრო მოთხოვნილებებს, დედამიწის ყოველ კუთხემდის. სამხედრო თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს ფრენოსნობას შეუძლიან მისწვდეს თავის იარაღით დედამიწის ყოველ წერტილს. აგრეთვ ძალიან გაიზარდა ფრენოსნობის საბარგულო მზიდველობის შემძლებლობა. დღეს მას უკვე ძალუძს

რომ ბიდოს ყოველი საველე იარაღი და სხვა საჭიროებანი ხაზის დივიზიისა, არის ეს ქვეითა ჯარის, საჰაერო, თუ ჯავშნოსანი ერთეული.

თუ ფრენოსნობას ხელს უწყობენ ამინდის და საბრძოლო მდგომარეობის იდეალური პირობები, მას შეუძლიან სულ მოკლე ხანში მიიყვანოს თავის დანიშნულების წერტილში რომელიმე ერთეული, მაგალითად დივიზია, ბრიგადა, ან სხვა მგზავსი ერთეული.

ფრენოსნობის ტეხნიკური სრულყოფილება და შემძლებლობა იხეთ სიჩქარით იზრდება, რომ არ შეიძლება მის შემძლებლობის განსაზღვრა მის დღევანდელი დონით..... მაგრამ რის გაკეთება შეუძლიან ფრენოსნობას, როდესაც საკითხი დამოუკიდებელ ომის ახპარების საფეხურზედ მდგას; როდესაც ეს ახპარები შეიცავს რამოდენიმე სრულიად დამოუკიდებელ ფრონტს და ყოველი ეს შემადგენელი ფრონტი თავისთავად წარმოადგენს არმიათა ჯგუფის სივრცეს?

რის მიღწევა შეუძლიან ავიაციანსპორტს, როდესაც ეხეთ დამოუკიდებელ ომის ახპარებს არ მოეპოება ბურგში რკინის გზების იხეთი ქსელი, რომ მან მოახერხოს მასიური ტრანსპორტით საჭირო ძალების კონცენტრაცია საჭირო დროში და მერე შეხძლოს ამ ძალების სრული და განუწყვეტელი საზრდოება, როგორც საომარ მასალებით, იხე ხანოვაგით ?

კონკრეტიულათ: შეშლიან ავიაციანსპორტს, რომ შეავსოს და დაჰფაროს ყველა ის ნაკლები, რომელსაც განიცდის ციმბირის ერთადერთი რკინის გზა ამ დამოუკიდებელ ომის ახპარების სამხახურისთვის ? უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ამ საომარ ახპარებს თავის უკან არ მოეპოება ნორმალური ბურგი და უმთავრესი საომარი საშუალებანი უნდა მიიღოს ურალის მთების დახავლეთ სივრციდან.

როგორც დღევანდელ ტეხნიკურ საფეხურის, იხე მახლობელ საკარაოლო მომავლის საფეხურის ფრენოსნობისთვის, ამ ამოცანის შესრულება ყოვლად შეუძლებელია. ფრენოსნობის სატრანსპორტო გამოყენების საზღვრებს ბღუდავენ შემდეგი ურყევი პირობები:

1. თუ განზრახულ ტრანსპორტის მოელ სივრცეზედ /დაცვირთვის ალაგიდან გადმოცვითვის ალაგამდე/, მოწინააღმდეგის ფრენოსნობა არ არის სრულიად დამორჩილებული და მთელ ამ სივრცეზედ ცაში ბატონობა არ არის უზრუნველყოფილი, მაშინ ავიაციანსპორტით ხარგებლობა ძალია და ძალიან სახიფათოა, თუ არა ყოვლად შეუძლებელი.

2. ფრენოხნობა, ჯერ კიდევ, სრულიად დამოკიდებულია ამინდზედ. ამინდის მოულოდნელ ცვლილებას შეუძლიან სრულიად შეაჩეროს ავიოტრანსპორტი; ან კიდევ, ტრანსპორტი, რომელიც უკვე ჰაერში იმყოფება, გაფანტოს იხეთ უშველებელ მანძილზედ, რომ სრულიად მოხსოს მისი ტაქტიკური ღირებულობა გამოუანგარიშებელ დროისთვის.

3. იხეთ დიდ ტაქტიკურ ერთეულებს, როგორც მაგალითად ქვეითა ჯარის დივიზიას ვერ დატვირთავთ და ვერ გადმოტვირთავთ მარტო ერთ აეროდრომზედ. ამისთვის აუცილებელია რამოდენიმე განცალკავებული აეროდრომები, როგორც დატვირთვის, იხე გადმოტვირთვის რაიონებში.

დღევანდელ თვითმფრინავებისთვის საჭიროა საგანგებო დიდი აეროდრომები, რომელნიც აშენებულნი უნდა იყვნენ ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს. მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ ვერ ააშენებთ კილომეტრიან პრტყელ ბეტონის სივრცეებს და იქ მისავალ გზებს. ეს იმას ნიშნავს, რომ მოწინააღმდეგემ უკვე ომის წინ იცის სად ამზადებს მტერი გადმოტვირთვის რაიონებს. მას შეეძლება წინასწარვე მოამზადოს საბოტაჟი, ან ამ აეროდრომების დაბომბვა იხე, რომ ეს აეროდრომები გამოუსადეგარი გახადოს ომის დაწყების პირველ საათებშივე.

ევაკუაცია

4. ჩამოთვლილ დაბრკოლებებს კიდევ ერთი უარყოფითი მოვლენა, სახელდობრ: ჯარის დიდი ერთეულები მობილიზაციის ცენტრებიდან რამე ჩქარი ტრანსპორტით უნდა მიიყვანოთ დასატვირთ აეროდრომების რაიონებში, ე.ი. ან ავტოტრანსპორტით, ან რკინის გზის ტრანსპორტით. ეხევე გადმოტვირთვის რაიონებიდან ეს ერთეულები რამე ჩქარი ტრანსპორტით უნდა მიიყვანოთ მათ საბრძოლო დანიშნულების აღაგამდე. ეს საჭიროება უკვე იმას ნიშნავს, რომ ხმელეთის მთელი სამობილიზაციო და საკონცენტრაციო მოძრაობა არეულ და შეჩერებული უნდა იქმნეს. ეს მთავარ ძაღების საერთო კონცენტრაციას ომის ახპარეზედ დიდ ხნით დააგვიანებს და მტერს უდიდეს უპირატესობას ჩაუგდებს ხელში. ეს ყოვლად შეუძლებელია იმ სახელმწიფოებში, სადაც სჭარმოობს მობილიზაცია საყოველთაო სამხედრო ბეგარის სამსახურის რუბერვიხა.

ამ საკითხს არ იცნობენ ის სახელმწიფოები, რომელთაც არა აქვთ საყოველთაო სამხედრო ბეგარა და რომელთა მოწინააღმდეგეც ბედგას არ ხმელეთის საზღვრის მეორე მხარეზედ, არამედ ზღვის ან ოკეანეს გადაღმა.

ჩამოთვლილი მოვლენები მკვეთრად აღნიშნავენ, რომ არმიისა და, მით უფრო, დამოუკიდებელ ახპარეზის ძაღების კონცენტრაციის დამყარება ავიოტრანსპორტზედ ღეს, ჯერ კიდევ ყოვლად შეუძლებელია.

მაშ რა შეუძლიან გააკეთოს დღევანდელ ფრენოხნობას სამხედრო ტრანსპორტის საკითხში?

ფრენოხნობას შეუძლიან , ფრონტის რომელიმე განსაკუთრებულ ნაკვთს, ბრძოლის განსაკუთრებულ მომენტში მიაჭოდოს საჭიროთ ტაქტიკის ზომის მაშველი, როგორც მაგალითად: საჰაერო პარაშუტების ან ჰელიკოპტერების ერთეულები, ქვეითა ჯარის ან ჯავშნოსანი ერთეული ბრიგადის ან დივიზიის ზომამდის. შეუძლიან გადახხას საჰაერო დესანტი მტრის ზურგში, ან ჯერ კიდევ მტრის მიერ დაუკავებელ სივრცეში; შეუძლიან რამე გარშემორტყმულ ნაწილის ან გარნიზონისთვის პატარა მაშველის და სურსათის მიჭოდება. ყველა ამის მიღწევა შეიძლება მხოლოდ მაშინ, თუ მოწინააღმდეგის ფრენოხნობა სრულიად დამორჩილებულია და ცაში ბატონობა უზრუნველყოფილია დროებით მაინც, ესეთ მოქმედების განსაკუთრებულ ფრონტზედ.

ყველაფერი ეს თავისთავად წარმოადგენს ტაქტიკის ზომის დამხმარე მოქმედებას, მაგრამ გარდამწყვეტ წერტილში და გარდამწყვეტ მომენტში ესეთ მოქმედების ჩატარებას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს და ეს სრულიათაც არ ამცირებს ფრენოხნობის მნიშვნელობას. საჭიროა მხოლოდ ერთი რამე: რომ ფრენოხნობის ამოცანა არ იყოს გადამეტებულათ დატვირთული და ამ დარგზედ არ იყოს დამყარებული ცრუ, გადამეტებული იმედები.

ესეთ გადამეტებულ იმედების ტრაიკულ შედეგების მკვეთრ მაგალითს იძლევა სტალინგრადის ბრძოლა. გერმანიის ფრენოხნობის უფროსმა კატეგორიულად გამოაცხადა, რომ იგი ფრენოხნობის საშუალებით დააკმაყოფილებს, ალყა შემორტყმულ სტალინგრადის ყოველგვარ მოთხოვნილებებს. ესეთ აღვილად გამოთქმულ განცხადების ნიადაგზედ, უკუგდებული იქმნენ ყოველი წინადადებანი ხმელეთის ხარჯლობისა, როდესაც მათი განხორციელება ჯერ კიდევ შესაძლებელი იყო და წარმოადგენდნენ უბრალო სახის მანევრს.

ეს არის განხილვა საბჭოთა იმპერიის მიმოსვლის /კომუნიკაციის/ საშუალებათა საერთო მდგომარეობისა. ეს განხილვა ცხადჰყოფს,დიდ სამხედრო მნიშვნელობის, რამოდენიმე ურყევ და მკვეთრ ფაქტს

- რუსეთის რკინის გზების ქსელი გაშენებულია და სრულიად მიზანშეწონილი იმ ბუნებრივ საზღვრამდის, რომელსაც წარმოადგენს მის მოსახლეობის სიხშირე. მაგრამ რკინის გზების ეს ქსელი სრულებით ვერ სჭვდება იმ სამხედრო მოთხოვნილებათა საჭიროებას, რომელიც დღევანდელ პირობებში აწყდება თავზედ მოსკოვის იმპერიას

- რუსეთის რკინის გზების ნაკლის. შევსება ვერ შეუძლიანთ ვერც ავსტრანსპორტს და ვერც ავიოტრანსპორტს თავიანთ გაერთიანებული ძალებით.

- ყველაფერი ის, რაც მეცხრამეტე საუკუნის ნახევრამდის, სამხედრო თვალსაზრისით, წარმოადგენდა რუსეთის უდიდეს წარმატებას და უპირატესობას, როგორც მაგალითად მისი დიდი სივრცეები და სახიკი ჰავა, მეცხრამეტე საუკუნის ნახევრიდან, და ტეხნიკის განვითარებასთან და სამხედრო აპარატის განვითარებასთან ერთად, სწორედ ამ ელემენტებმა იბრუნეს პირი რუსეთის წინააღმდეგ. სწორედ ეს ელემენტები, დიდ წარმატებათა და უპირატესობათა ხარისხიდან, იქცნენ დიდ უარყოფით და სამხედრო მოქმედებათა გამაძნელებელ ელემენტებათ.

განხილულ ფაქტების გამომეტყველება ცხადჰყოფს ერთ ურყევ მოვლენას: მოსკოვის იმპერიის სახიფათხლო ნერვების სისტემა ველარ უძლებს მის ტიტანიურ სიმძიმეს და იგი ბუნების წესით ინგრევა თავის საკუთარ სიმძიმის ქვეშ. ამ მოვლენამ გაათავა ყოველი იმპერია კაცობრიობის ისტორიაში.

ეს არის რუსეთის პოლიტიკური და გეოგრაფიული მდგომარეობა მსოფლიოს საერთაშორისო სარბიელზედ. ამ პოლიტიკურ მდგომარეობაში მიადგა დღეს მოსკოვის იმპერია სამკვდრო-სახიფათხლო ინტერესების გადაჯვარედინებას და შეხლას შორეულ აღმოსავლეთში და ცენტრალურ ევროპაში. რუსეთის ყოველი შესაძლებელი სამხედრო კონფლიქტი გათამაშებული იქნება ამ პოლიტიკურ ჩარჩოებში.

მდგომარეობის საერთო განხილვის შემდეგ, შეიძლება შეუდგეთ დაწვრილებით გარჩევას იმ ახალ სამხედრო ასპარეზის განსაკუთრებულ პირობებისა, რომელიც მოულოდნელათ დაადგა თავზედ მოსკოვის იმპერიას, მსოფლიოს დღევანდელ პოლიტიკურ ვითარებაში.

მაგრამ, სანამ შეუდგებოდეთ ამ საკითხის გარჩევას, ხხვათა შორის, უნდა გავიხსენოთ ორი ირონიული მოვლენა, რომელიც ისტორიამ უძღვნა რუსეთსა.

სამხედრო ისტორიაში, რკინის გზის პირველი მასიური ტრანსპორტი დიდ სამხედრო ძალებისა, იხმარა სწორედ რუსეთმა, რომელიც მუდამ კოჭლობს ამ საკითხში. ეს იყო ნიკოლოზ პირველის დროს 1848 წელს, უნგრეთის წინააღმდეგ, რომელიც იბრძოდა თავის განთავისუფლებისათვის და რომელსაც ავსტრია ველარ იმორჩილებდა. რუსეთმა გაგზავნა ჯარი და სისხლში ჩააღრჩო უკვე გა-

მარჯვებული და განთავისუფლებული უნგრეთი.

108 წლის შემდეგ, ამავე რუხეთმა, თვითმპყრობელ ნიკიტა ხრუშჩევის გაბონობის დროს, რუხეთმა მეორედ ჩააღრჩო სიხბლში უნგრეთის გამანთავისუფლებელი ბრძოლა.

როგორც ნიკოლოზ პირველს, იხე ნიკიტა ხრუშჩევს "ვიღამაც სთხოვა", რომ დეცვა უნგრეთი თვით უნგრელებისაგან.

იხევ ის მოხკოვი, იხევ ის მიზნები და იხევ ის მეთოდი, როგორც უწყვეტი ხაზი: იოანნე მრისხანე - ნიკოლოზ პირველი - ლ. ბრეჟნიოვი.

რუხეთის ომის ახალი ახპარები, ე.ი. ჩინეთის ახპარები განხილული უნდა იქმნეს მოხკოვის იმპერიის არხებობის და განვითარების იმ განსაკუთრებულ პირობათა ნიადაგზედ, რომელნიც იქმნენ აწერილი და დახასიეთებული ზევით

ჩინეთის ომის ახპარები, ფსიქოლოგიურად და პოლიტიკურათ, რუხეთს სრულიად მოულოდნელათ დააწყდა თავზედ. მოხკოვის იმპერიის მთელი სახელმწიფოებრივი აგებულობა, მის ეკონომიური და პოლიტიკური ექსპანსია, მთელი მისი სამხედრო წნევა და მოგერიებითი მომზადებანი, როგორც ნივთიერათ, იხე ფსიქოლოგიურათ, მომზადებულია და მიმართული დახავლეთისკენ და სამხრეთისაკენ.

რუხეთის მთელ პოლიტიკურ და სამხედრო აპარატის მიზანი ერთი იყო: პირველ ეტაპში გაიჭრას ხმელეთაშუა ზღვაზედ და მახლობელ აღმოსავლეთის სივრცით ინდოეთის ოკეანესკენ. მეორე ეტაპის მიზანი არის - გაიჭრას ატლანტის ოკეანესკენ და გაბატონებულ პოზიციებიდან დაიმორჩილოს დახავლეთი ევრპა. ამ იდეის პრაქტიკულ განხორციელების ფაზა წილად ხვდა კრემლის წითელ მმართველობას და სწორედ ამ დროს დააწყდა რუხეთს თავზედ გაერთიანებულ ჩინეთის მოულოდნელობა.

ჩინეთის მიმართულება, თავის ხიფარიელით, რუხეთისათვის წარმოადგენდა ხრულს და ყველაზედ მკვიდრ პოლიტიკურ და სამხედრო უზრუნველყოფას. ეს მოვლენა დხავლეთ ევროპაში ჰქმნიდა მოხკოვის იმპერიის სივრცეების "უძირო და დაუპყრობელ სამშროების" ფსიქოზსა.

ჯერ იხევ 1955 წელს ჩინეთი, თავის 800 მილიონიან მოსახლეობით და თავის უშველებელ ტერიტორიით, მოსკოვის ვასალურ ხელქვეით ქვეყანას წარმოადგენდა. აქ ერთხელ კიდევ უნდა გაუხვათ ხაზი, რომ იმ პირობებში სულ სხვა მნიშვნელობა და ეფექტი ჰქონდა რუსეთის მოწინავე სანაპირო რაზმებს, ევროპის შუაგულში, მდინარე ელბის ნაპირებზედ, ვიდრე ამავე სამხედრო ნაწილებს აქვთ დღეს , ამავე ელბის ნაპირებზედ.

დღეს რუსეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ხიფათს, სწორედ ეს ჩინეთის მიმართულება წარმოადგენს. ეს არ არის ხიფათი შემთხვევითი, დროებითი და გარდამავალი. ეს არის მუდმივ და განუწყვეტელ ბრძოლის ახპარეზი, რომელზედაც მოწინააღმდეგის ძალა იზრდება დიდის სისწრაფით, როგორც იდეოლოგიურად, ისე ფიზიკურად და ნივთიერათ.

მეორე მხრივ, მოსკოვის იმპერიას არ აქვს არც დრო და არც საშუალება, რომ თავის სახელმწიფო აგებულობა ისე გარდაქმნას, რომ სძლიოს ეს აღმოხავლეთის საფრთხე და ამავე დროს შეირჩინოს თავის პოზიცია იმპერიის დასავლეთ კიდეებზედ და მსოფლიოს საერთაშორისო სარბიელზედ. ეს არის დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა მოსკოვის იმპერიისა.

კრემლის მთავრობის ყოველი მიმდინარე პოლიტიკური ნაბიჯი სრულიად ნათლად გვიჩვენებს, რომ მას საუცხოვოთ ესმის თავის მდგომარეობა, უშეცდომოთ აფასებს მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებას და მოქმედობს ერთადერთ, მისთვის შესაძლებელ პოლიტიკურ ხაზით. კრემლის მთავრობის ღღევანდელ ფსიქოლოგიურ მდგომდგომარეობის გაგება ძალიან აღვილია, თუ განვიხილავთ მოსკოვის იმპერიის პოლიტიკურ მოქმედებათა განვითარებას მის აღმოსაღეთ კიდეებზედ, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან.

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში რუსეთმა გადაწყვიტა, რომ მაგრად დამკვიდრდეს წყნარ ოკეანეს ნაპირებზედ და ამ სივრცეზედ დაიკავოს მთავარ ძლიერების პოზიცია. ამ მიზნისთვის რუსეთს სჭიროდა მუდმივი გაუყინავი პორტები წყნარ ოკეანის ნაპირებზედ, რკინის გზის კავშირი ამ პორტებთან და საბღვაო და ხმელეთის ძალები ამ სივრცეზედ.

1860 წელს რუსეთმა დაიწყო აშენება ქალაქ და ნავთსადგურ ვლადივოსტოკისა. ვინც რუსული ენა იცის, მისთვის უკვე თვით სახელი ამ ქალაქისა ნათლად აღნიშნავს რუსეთის განზრახვებს. ეს ნავთსადგური ხანგრძლივათ იყინება წლის

განმავლობაში და ამიტომ ვერ შეეძლო შეხრუდება რუსეთის საბოლოო განზრახვის დანიშნულებისა.

1891 წელს რუსეთმა დაიწყო აშენება ციმბირის რკინის გზისა.

1895 წ. რუსეთმა გამოიყენა 1894-95 წლის ჩინეთ-იაპონიის ომი. რუსეთმა თავის დიპლომატიური წნევით, იაპონიას მირითადათ შეაკვეცინა შიმონოსეკის ზავის პირობები, რომელნიც გამარჯვებულ იაპონიამ უკარნახა ჩინეთს.

ამ დიპლომატიურ მოქმედებაში რუსეთს მძლავრათ უჭერდნენ მხარს ორი, ერთი მეორის მოჩინააღმდეგე სახელმწიფო - საფრანგეთი და გერმანია. ეს სახელმწიფოები თავის მოქმედებაში ხელმძღვანელობდნენ სულ სხვადა სხვა მოსაზრებებით, სახელდობრ: საფრანგეთი მხარს უჭერდა რუსეთს, როგორც თავის მოკავშირეს გერმანიის წინააღმდეგ. გერმანია მხარს უჭერდა რუსეთს იმ აზრით, რომ რუსეთი ღრმად ჩაეგა შორეულ აღმოსავლეთის პოლიტიკაში, რომ რუსეთს ამით შეემცირებინა თავის აქტივობა ევროპის საკითხებში.

ამ მძლავრი დიპლომატიურ წნევის ქვეშ, იაპონია იძულებული შეიქმნა, რომ გეებათილებინა უკვე შეკრული ზავის პირობები და დეთოვებინა ლიაოტუნგის ნახევარკუნძული ქალაქ პორტარტურით და დაირენით.

1898 წ. რუსეთმა თითონ დაიკავა, იაპონიის მიერ იძულებით დათოვებული, ლიაოტუნგის ნახევარკუნძული. ეს დაპყრობა მოკლე ხანში ღეგალიზებული იქმნა, როგორც ოც და ხუთ წლის ვადიანი იჯარა. რუსეთმა მიიყვანა რკინის გზა პორტ დაირენამდის და პროტარტურამდე; თვით პორტარტური აქცია სამხედრო საზღვაო ძალების ბაზად და შეიყვანა ძლიერი გარნიზონი ხმელეთის ჯარისა. ამ ხივრცეს ციმბირის რკინის გზასთან აერთებდა რკინის გზა, რომელიც რუსეთმა გაიყანა ჩინეთის პროვინცია მანჯურიის ტერიტორიაზედ. ამ რკინის გზის დაცვის საბუთით, რუსეთმა შეიყვანა მანჯურიის ტერიტორიაზედ თავი ჯარის საგრძნობი ზომის ერთეულები. როგორც ვხედავთ, სრულიად მოკლე ხანში,, სრულიად ნათლად ჩამოიხაზა რუსეთის ცრაღიციული ცივი ომით ახალ ტერიტორიის დაპყრობის პირველი ეტაპი.

მეფის რუსეთის ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე ს.ი. ვიტტე, რომელიც რამო დენჯერმე იყო რუსეთის მთავრობის მინისტრი და პრემიერი, რომელმაც საუცხოვო დიპლომატიურ მიღწევით დაამთავრა 1904-05წ. რუსეთ-იაპონიის ომი, ღაწვრილებით და დიდი სარკაზმით აღწერს რუსეთის მთელ ამ პოლიტიკურ ავანტურას

ყველაფერ იმას, რაც მთელ ამ სივრცეზედ ხდებოდა, რუსეთის ოფიციალური წრეები უყურებდნენ, როგორც ჩვეულებრივ აზიურ ქმნილებათა მორიგე ხალიკვიდაციო "კოლონიალურ ექსპედიციას. რაც შეეხება იაპონიის იმპერატორ მუცუჰიტოს რეფორმებს და მის მიღწევებს, რუსეთი ამას ჯერ კიდევ დიდი ირონიით უყურებდა.

რუსეთის მთავარი შეცდომა, რომელმაც გასტანა 1956 წლამდის, იყო ის, რომ რუსეთი ჩინეთს არას დროს არ იღებდა მხედველობაში, როგორც პოლიტიკურ ქმნილებას და შესაძლებელ სამხედრო პოტენციალს. ჩინეთი ყველა დაინტერესებულ სახელმწიფოებისთვის დიდი ხანი წარმოადგენდა ძალიან წამაქეზებელ და ადვილად დასაპყრობელ მიზანს. ამ მიზნისკენ,ყველაზედ დიდი სიჯიქით და მძლავრად, მიიწევდა სწორედ რუსეთი.

რუსეთი ამ ყალბ შეხედულობიდან ვერ გამოაფხიზლა ორ დიდ შერხევამ, სახელდობრ: ერთი იყო 1904-05 წლების ომი; მეორე იყო იაპონიის მიერ დროებითი დაპყრობა ოც და ათიან წლებში ჩინეთის ტერიტორიის დიდი ნაწილისა.

ორთავე მოვლენაში, რუსეთის შეფასებაში, იაპონია იყო არასასურველი და მოულოდნელი მეტოქე, რომელიც იპყრობდა მესამე სახელმწიფოს /ჩინეთის/ იმ ნაწილს, რომლის დაპყრობაც განზრახული ჰქონდა თითონ რუსეთს. კი, ეს მოვლენა თავისთავად არ იყო რუსეთისათვის ხელსაყრელი, მაგრამ, იაპონია, როგორც შედარებით პატარა და კუნძულების სახელმწიფო, ვერას დროს ვერ გამაგრდებოდა აზიის კონტინენტზედ ისე, რომ იგი აქედან გამხდარიყო სასიკვდილო საფრთხე რუსეთისათვის. რუსეთი არას დროს არ მოელოდა ესეთ საფრთხეს შორეულ აღმოსავლეთიდან. იაპონიას რუსეთი სთვლიდა მხოლოდ დროებით ძალათ, რომელიც დროებით აბრკოლებდა რუსეთის აგრესიას.

ოცდაათიან წლებში, იაპონიის წინააღმდეგ რუსეთმა მიიღო შემდეგი გეგმა: გააძლიეროს ციმბირის მოსახლეობა იმდენად, რომ ციმბირი თითონ ექცია ცოცხალ ძალების სამყოფ სამობილიზაციო აუზათ და ციმბირს, ნაწილობრივ მაინც, შესძლებოდა ეხალისებინა იაპონიის საწინააღმდეგო მოქმედებანი ამ სივრცეზედ.

აქ საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს სრულიად ხალი შეხედულობა იყო, მხოლოდ ერთი პირობით: რომ ამ დროს, ამ სივრცეზედ იქნებოდა მხოლოდ ერთი განმარტოებული მოწინააღმდეგე - მხოლოდ იაპონი; და იაპონია იქნებოდა იძულებული ებრძოლა მტრულად განწყობილ ერის ტერიტორიაზედ - ჩინეთის ტერიტორიაზედ

და თავის წინააღმდეგ ეყოლებოდა მთელი ადგილობრივი ჩინური მოსახლეობა. მართლაც ოცდაათიან წლებში ადგილობრივი მდგომარეობა სწორედ ეხეთი იყო და რუსეთის პოლიტიკური შორსმჭვრეტველობა ამ დროებით პორიზონტების იქით ვერ სწვდებოდა.

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღვნიშნოთ ხაზგასმით, რომ კრემლის მთავრობის ყოველი ნაბიჯი სრულიად ცხადათ გვიჩვენებს, რომ ეს მთავრობა, მხოფლიოს ხალხთა პოლიტიკურ მდგომარეობას და კერძოთ თავის საკუთარ პოლიტიკურ მდგომარეობას, აფასებს ძალიან ფხიზლად და რეალურად. მას საუცხოვოდ ესმის თავის დღევანდელი ტრაგიკული მდგომარეობა და იგი საუცხოვოდ ხედავს რა ხახის და რა ხარისხის ხიფათი ემუქრება მას და რომელ მიმართულებიდან მოდის ეს ხიფათი.

რა სამხედრო ჩარჩოებში მჭიდდება ეს მსოფლიოს ბომის კონფლიქტი.

დღეს საერთოთ გამეფებული ფსიხოზია, რომ თუ ვინმე, რამე ხახით შეეხო სამხედრო საკითხს, მაშინვე ყველაფერი ატომის იარაღზედ და ატომის ომზედ აღაპარაკდება. რა გავლენა აქვს დღეს ამ იარაღს რუსეთ-ჩინეთის ურთიერთობის განვითარებაზედ.

ჯერ იხევ მაშინ, როდესაც ჩინეთს არ მოეპოვებოდა ატომის იარაღი, ჩინეთის პასუხისმგებელ პოლიტიკურ და სამხედრო წრეების აზრი შემდეგი იყო: "
" დეე დაიწყოს სრული ატომის ომი! ამისი ჩვენ არ გვეშინიან. რამოდენიმე ახეული მილიონი ჩინელი რომ დაიღუპოს კიდევაც, მაინც ყველაზედ მეტი რიცხვი გადარჩება ჩინელებისა და საბოლოვო გამარჯვება მაინც ჩვენი იქნება".

ამ განცხადებას თანამედროვე პრესამ ხარკაზმით უპასუხა და ამიტომ მისი ნამდვილი პოლიტიკური ბნიშვნელობა ვერ იქმნა შეფასებული სათანადოთ. დღეს, როდესაც ჩინეთს უკვე მოეპოვება სამყოფი ატომის იარაღი, რომ აწარმოვოს თავის აქტიური თავდაცვა, საჭიროა , ბევით აღნიშნული აზრი, განვიხილოთ სამხედრო თვალსაზრისით. ეს განცხადება შეიცავს ერთ ურყევ სიმართლეს.

ყოველ სახელმწიფოს, თავის აგებულობის და მიხედვით, აქვს სხვა და სხვა და სხვა მგრძნობიარობა ატომის იარაღის ძალაზედ. მაგალითად, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, თავიანთ უაღრესად ცენტრალიზებულ აგებულობით და მოსახლეობის უდიდეს სიხშირით, განიცდიან ყველაზედ მეტ მგრძნობიერობას ამ იარაღის მიმართ. ვერც ერთი მათგანი ვერ შესძლებს ომის გაგრძელებას, თუ მათ ტერიტორიაზედ იფეთქა ერთმა ან ორმა ნუკლეალურ ყუმბარამ.

ამაზედ ცოტა ნაკლები მგრძნობიერება აქვს რუსეთს. რუსეთს შეუძლიან ომის გაგრძელება მაშინაც, თუ მის ტერიტორიაზედ იფეთქებს უფრო მეტი რიცხვი ნუკლეალურ ყუმბარების, ვიდრე დახავლეთ ევროპის რომელიმე სახელმწიფოს ტერიტორიაზედ.

დიდ სახელმწიფოებში, ატომის იარაღის იერიშზედ, ყველაზედ ნაკლები მგრძნობიერება აქვს ჩინეთს. ჩინეთის ყოველი დიდი ქალაქი რომ განადგურებული იქმნეს ატომის თავდასხმით, ჩინეთის ცუდათ შეიარაღებული და ცუდათ გამოკვებული უმრავი მასხები მაინც შეხძლებენ მოძრაობას და მოქმედებას. ეს მასხა მაინც შეეხევა ცარიელ ციმბირს და რუსეთის თურქესტანს.

მაგრამ, დღეს ჩინეთს უკვე მოეპოვება თავის საკუთარი ნუკლეალური იარაღი. რასაკვირველია, ამ დარგში, როგორც ხარისხით, ისე რიცხობლივ შემძლებლობით, ჩინეთი რუსეთზედ შეუდარებლივ დაბლა დგას. რუსეთს ნუკლეალურ დარგში დღეს მეორე ალაგი უკავია მსოფლიოში და სწრაფად უახლოვდება ამ დარგის პირველ სახელმწიფოს თანაბარ საფეხურს.

ავიღოთ ჩინეთის შემძლებლობის ის მინიმუმი, რომელსაც დღეს ოფიციალურად სცნობს მთელი მსოფლიოს პრესა და განვიხილოთ რის მიღწევა შეიძლება ამ ამ საფეხურით, დღეს არსებულ პოლიტიკურ პირობებში.

- 1970 წლის 14 ოქტომბერს ჩინეთმა ააფეთქა თავის მეთერთმეტე გამოხაცდელი თერმონუკლეალური ყუმბარა.
- 1968 წ. გამოსცადა ჩინეთმა თავის 400-500 კილომეტრიან მანძილის სახროლი რაკეტა.
- 1970 წლის 24 აპრილს ჩინეთმა გაისროლა თავის პირველი ხელოვნური დედამიწის გარშემო. ეს ხელოვნური თორმეტჯერ უფრო მძიმე იყო, ვიდრე შეერთებულ შტატების პირველი ხელოვნური, რომელიც მან გაისროლა 1958 წლის 31 იანვარს.
- 1971 წლის 3 მარტს ჩინეთმა გაისროლა თავის მეორე ხელოვნური დედამიწის გარშემო.
- 1970 წლის ხექტემბერს ოფიციალურად იქმნა ცნობილი, რომ ჩინეთს აქვს ხმარებაში საკუთარ პროდუქციის ორ მოტორიანი თვითმფრინავები, რომელთაც შეუძლიანთ თერმონუკლეალურ ყუმბარების მიწვდენა ე.წ. სამუალო მანძილზედ, ე.ი. 1000-1100 მილზედ.
- 1971 წლის 4 მარტს ოფიციალურად იქმნა ცნობილი, რომ ჩინეთმა უკვე იხმარა სახროლი რაკეტა სამუალო მანძილის მიწვდენისა.

ეს ფაქტები გვიჩვენებენ, რომ დღეს ჩინეთს უკვე შეუძლიან მიხედოს თავის ნუკლეალურ იარაღით რუსეთის ტერიტორიის ევროპიულ ნაწილს. მგარამ, ამ ფაქტს არა აქვს დიდი მნიშვნელობა. მთავარი მნიშვნელობა იმას აქვს, რომ უკვე დღეს, ჩინეთის საშუალებანი შეარავენ ატომის იარაღით ციმბირის რკინის გზის მთელ სიგრძეს, ურალის მთებიდან წყნარ ოკეანეს ნაპირებამდის და რუსეთის თურქესტანის მთელ რკინის გზათა ქსელს - დაწყობილი კასპის ზღვის და მდინარე ურალის ნაპირებიდან.

აქ უნდა აღინიშნოს, რომ ნუკლეალურ იარაღის და მის სასროლ საშუალებათა განვითარებაში ჩინეთმა, ყველა აღნიშნულ შედეგებს, მიაღწია გევრად იმაზედ ადრე, ვიდრე ამას მოელოდნენ ამ საკითხის ავტორიტეტიანი სპეციალისტები.

ყველა ამას ემატება კიდევ ერთი მოვლენა. ჩინეთის კომუნისტურ პარტიის უკანასკნელ კონგრესზედ არაჩვეულებრივათ იქმნა გაძლიერებული სარდლობის პოლიტიკური პოზიცია და საერთოდ, გაძლიერებული იქმნა მხედრობის უფლებამოსილება სახელმწიფოს მთელ სივრცეზედ. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩინეთი, ტოტალისტურ სახელმწიფოს მთელ სიმკაცრით და შეუპოვრობით, შეუდგება სამხედრო ძალების და მის შეიარაღების განვითარებას და ამ მიზანს შესწირავს, მთელ მოსახლეობის ყოველგვარ ინტერესებს.

აქ იბადება საკითხი: მოწინააღმდეგეთა ატომის შეიარაღების დღევანდელ საფეხურზედ, აქვს რამე აზრი ატომის იარაღის ხმარებას, რუსეთ-ჩინეთის შეიარაღებულ შეჯახების შემთხვევაში?

იქნება ატომის იარაღი ნახმარი თუ არა, სამხედრო საკითხის მაღალ საფეხურზედ ამას არა აქვს პირითადი მნიშვნელობა. ომის ამ ახპარეზზედ ორთავე შემთხვევაში, ბრძოლის სარბიელზედ, ხუსტ მხარედ რუსეთი რჩება. ეს დასკვნა ბევრს მოულოდნელ აზსურდათ უნდა მოევლინოს, მაგრამ ამის სრულ პასუხს იძლევა, ამ ახპარეზის განსაკუთრებულ თვისებათა სრული განხილვა.

ჩინეთის სამხედრო ახპარეზი შეზღუდება სამ დიდ დამოუკიდებელ ფრონტის ნაკვთიდან. ყოველი ეს ნაკვთი წარმოადგენს ნორმალურ სარბიელს ერთ განსაკუთრებულ არმიათა ჯგუფის მოქმედებისა, სახელდობრ: მანჯურიის ფრონტი, მონგოლეთის ფრონტი და თურქესტანის /სინკიანგის/ ფრონტი.

საეთოდ საბჭელრო აუცილებლობაა, რომ ყოველ არმიის მომავალი ფრონტი ეყრდნობოდეს სახელმწიფოს რომელიმე განსაკუთრებულ ნაწილს. სახელმწიფოს ეხეთი ნაწილი, ჯერ კიდევ მშვიდობიან დროს არის ჩამოყალიბებული, როგორც განსაკუთრებული სამხელრო ოქი. რასაკვირველია, სხვა და სხვა სახელმწიფოში ეს განაწილება სხვა და სხვა სახელს ატარებს და სხვა და სხვა სახით არის ჩამოყალიბებული. ეხეთი ოქი წარმოადგენს ნორმალურ ბურგს მომავალ არმიის ფრონტისა და ჯერ კიდევ მშვიდობიან დროში არის მომზადებული მთელ ამ ფრონტის ბურგის სამსახურისთვის. რას წარმოადგენს ეს ბურგის სამსახური?

ქრონოლოგიურად, პირველ რიგში ეხეთი სივრცე იგულისხმება, როგორც აუცილებლად ძალების მობილიზაციისთვის, ამ ფრონტზედ განწესებულ არმიის შესავსებლათ.

შემდეგ ეს სივრცე ემსახურება მომავალ ფრონტს თავის გზების მთელი ქსელით /უმთავრესათ რკინის გზების ქსელით/. გზათა ქსელმა უნდა მოახერხოს ადგილობრივ მობილიზაციის ჩქარი გატარება და მერე, ბრძოლის სივრცეზედ ნაწილების ჩქარი კონცენტრაციისთვის, მასიურ ტრანსპორტების მიღება სახელმწიფოს სიღრმიდან.

კონცენტრაციის გათავების შემდეგ, ეხეთ ბურგის სივრცემ უნდა მოახერხოს, რომ მებრძოლ არმიას მიაწოდოს საბრძოლო და საკვები სურსათი იხეთ ზომით, რომ ეს არმია რაც შეიძლება ნაკლებად იყოს დამოკიდებული სახელმწიფოს შორეულ ცენტრებზედ და შორეულ ტრანსპორტებზედ.

მართალია, საბჭოთა მთავრობამ, უკანასკნელ ათეულ წლებში, ბევრი რამე გააკეთა ციმბირის ყოველმხრივ განვითარებისათვის. გაშენებული იქმნა ბევრი დიდი სამრეწველო და სხვა ეკონომიური ცენტრები. აგრეთვე ბევრი იქმნა გაკეთებული ციმბირის მოსახლეობის გადიდებისათვის. ე.ი. ხალხის საგრძნობი რიცხვი იქმნა გადასახლებული იძულებით ციმბირში და, რასაკვირველია, მეცი ნაწილი დაპყრობილ ერების ყველაზედ ღირებული ელემენტი.

კი, ეს ზომები ნაწილობრივ შეესაბამებოდნენ რუსეთ-იაპონიის კონფლიქტის შემთხვევას. იაპონიის სამხელრო წონა ეხეთ კონფლიქტში, უკვე ბევით ქმნა დახასიეთებული. მაგრამ, ომის დღევანდელ მოთხოვნილებათა წინაშე, ყველა აწერილი ზომები არ წარმოადგენენ არაფერს. რუსეთის ამ ახპარების სამხელრო ძალები უნდა გაუმკლავდნენ რვაას მილიონიან ჩინეთს, რომელმაც კარგათ იცის დიდი მახების გამოყენება და არა ბოგავს ამ მახებს. ჩინეთის ეს ძალები მოიპოვებიან აღგილობრივ და მათ არ სჭირიათ მოყვანა იხეთ მანძილიდან, როგორც ჩინეთის მოწინააღმდეგე რუსეთს.

ციმბირს არას შემთხვევაში არ შეუძლიან ემსახუროს ომის ეხეთ ახპარებს, როგორც ნორმალური ბურგი და არც მომავალში შეიძლება მისი გაშენება და მომზადება ეხეთ დანიშნულებისათვის.

უფრო ღუდ მდგომარეობაში იმყოფება ციმბირის გზათა ქსელის საკითხი. ყოველ, დამუკიდებლად მომქმედ არმიისთვის საჭიროა, რომ საკუთარ სახელმწიფოს სიღრმიდან, მის ფრონტისკენ მოდიოდნენ შვეული /პერპენდიკულირული/ მიმართულებით, რამოდენიმე ხაზი რკინის გზისა- რკინის გზის ეს ხაზები წარმოადგენენ სასიცოცხლო ნერვებს მებრძოლ არმიისა.

გარდა ამისა საჭიროა, რომ ფრონტიდან დაშორებით, სიღრმეში არსებობდეს ფრონტის პარალელური ხაზი /სარეკვადო ხაზი/. ეს ხაზი არ შეიძლება, რომ ფრონტიდან ძალიან ახლოს იყოს და მოწინააღმდეგეს ადვილად შეეძლოს მისი გადაჭრა. ეხეთი ხაზი სუსტ მხარისთვის არის უფრო მეტად საჭირო, ვიდრე ღონივრ მოწინააღმდეგისთვის.

ციმბირი ამ მხრივ წარმოადგენს სრულიად მკვდარ სივრცეს. მის სიღრმეში არ არსებობს არავითარი იხეთი მახიური მოხახლეობა, რომ მან ითამაშოს რამე სამობილიზაციო როლი.

ციმბირის რკინის გზა აშენებულია იხეთ დროს და იხეთ პოლიტიკურ პირობებისთვის, რომ დღევანდელ სამხედრო მოთხოვნილებათა თვალსაზრისით, იგი სრულიად მკვდარი ნერვია. იგი მიდის არა ბურგიდან მომავალ ფრონტისაკენ, არამედ გვერდიდან, უკიდურეს მარჯვენა ფრთიდან უკიდურეს მარცხენა ფრთამდის. მიდის ფრონტის პარალელურად, მიდის ბად ხაზზედ მომავალ ფრონტისა და გევრ ალაგას გადის, თვით მოხალოდნე ბრძოლის ხაზის წინ.

რის გამოთვლა შეუძლიან რუსეთს ამ მძიმე მდგომარეობის გამოსახსნელათ, რომ ეს ახპარები მოამზადოს აუცილებელ მომავალ სამხედრო შეხლისათვის? შეუძლიან ციმბირში დაახახლოს იხეთი რიცხვი მოსახლეობისა, რომ მას შეეძლოს ადგილობრივ ძალების მობილიზაციით გაუმკლავდეს ჩინეთს დროებით მაინც და ამ ბურგით დააკმაყოფილოს ამ ორი ფრონტის ბოგიერთი მოთხოვნილებანი? -
/ იგულისხმებიან მანჯურიის და მონგოლეთის ფრონტები. თურქესტანის ანუ სინკიანგის ფრონტი განსაკუთრებლივ იქნება განხილული /

დაუშოთ ერთი წუთით, რომ ეს შესაძლებელია თეორიული თვალსაზრისით, რომ რუსეთმა ციმბირში გადაახახლოს მთელ იმპერიის მოსახლეობის ნახევარი. ეს ციმ

ბირისთვის იქნება მიმაგება დაახლოვებით 100 მილიონ ახალ მცხოვრებლებისა. თვით ციმბირში იმყოფება 50 მილიონამდე ძველი მოსახლეობა. რა შედეგი მოჰყვება ესეთ მოქმედებას რუსეთის ევროპიულ ნაწილში და რა ცვლილებას შეიტანს იგი, ციმბირის დღევანდელ სამხედრო მდგომარეობაში?

ესეთი გაღახახლება სრულიად დააცარიელებს იმპერიის ევროპიულ ნაწილს და სრულიად გაანადგურებს ამ ნაწილის ეკონომიურ, პოლიტიკურ და სამხედრო მნიშვნელობას. ამავე დროს ციმბირში დასახლებული ახალი ელემენტი მთლიანათ გაიფანტება ციმბირის უსაზღვრო სივრცეებში და სრულიად უმნიშვნელო დარჩება, როგორც სამობილიზაციო მურგი ციმბირის ომის ასპარეზისთვის.

უფრო ცუდათ გამოიყურება ციმბირის რკინის გზათა მომზადების საკითხი. დღეს, რომ ციმბირის გზათა ქსელი საშუალოდ იყოს მომზადებული მომავალ სამხედრო ამოცანისთვის, ამისთვის საჭიროა:

- რომ გაყვანილი იქმნეს, სულ უკანასკნელი ორი რკინის გზის ხაზი, რომელნიც შვეული მიმართულებით მიდიოდნენ საზღვრებისკენ /ე.ი. მომავალ ფრონტისკენ/ და ამ გზების სივრცეები მჭიდროთ იყვნენ დასახლებულნი.
- გარდა ამისა საჭიროა, რომ გაყვანილი იქმნეს ახალი რკინის გზა ევროპიდან წყნარ ოკეანემდეს, დღევანდელ ციმბირის გზის ჩრდილოეთით, ამ გზიდან დაახლოვებით 100-150 კილომეტრის დაშორებით.

რა მნიშვნელობა ექნებათ ამ გზებს, რომელნიც მთელ თავის სიგრძით გაივლიან მკვდარ ცარიელ სივრცეზედ და როგორ უნდა შეინახოს სახელმწიფომ მშვიდობიან დროში ეს სრულიად მკვდარი გზები, რომელნიც ომის პირველ საათებშივე ნუკლეალურ იარაღის ცეცხლ ქვეშ იქნებიან.

კი, მართალია, რომ ოცდაათიან წლებში, რუსეთმა შესძლო ამ სივრცეზედ გამარჯვებულ სამხედრო მოქმედების ჩაფარება იაპონიის წინააღმდეგ. მაგრამ, როგორც უკვე აღნიშნული იყო ზევით, იაპონია თითონ გამოდიოდა მეორე დამპყრობელის როლში უცხო ტერიტორიაზედ; იაპონიის მურგი იმყოფებოდა ფრონტის აღმოსავლეთით, დაშორებულ კუნძულებზედ და მთელი ადგილობრივი მოსახლეობა უაღრესად მტრულად იყო განწყობილი იაპონიის მიმართ. მაშინ არც ერთი მეზრძოლი მოწინააღმდეგე არ იღებდა მხედველობაში ადგილობრივ მოსახლე ერის ხურვილს და იდეოლოგიას.

მაგრამ, დღეს მოსკოვის იმპერია ებრძვის 800 მილიონიან ადგილობრივ მოსახლე ერს, რომელიც იმყოფება თავის ეროვნულ გრძნობათა ანთების მაღალ წერ-

ცილზედ. მოხკოვის იმპერიის აგებულობა არ იძლევა არავითარ საძუალებას, რომ ესეთ პირობებში მან მიიღოს ნამდვილი ომი. მით უფრო არ შეუძლიან მას მიიღოს ხანგრძლივი ბრძოლა რამოდენიმე ომის სახით, როგორც ივი ებრძოდა ოსმალეთს მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეთა განმავლობაში.

ცოტა უკეთ გამოიყურება რუსეთისათვის თურქესტანის /სინკიანგის/ ფრონტის მდგომარეობა. ამ ფრონტს აქვს თავის ნორმალური ბურგი და ბურგის სივრცის გმათა ქსელი, უკეთ ეწყობა ფრონტის საჭიროებას, სახელდობრ:

- ცაშკენტ-ჩკალოვის /ორენბურგის/ რკინის გზა, მთელ ამ სივრცეს, აერთებს ცენტრალურ რუსეთთან.
- კრასნოვოდსკ-ცაშკენტის რკინის გზა უერთებს ამ სივრცეს ამიერ კავკასიას.
- "ტურკ-სიბ" -ის რკინის გზა აერთებს ამ სივრცეს ციმბირთან, მაგრამ, ომის დროს ეს რკინის გზა ვერ მოუცანს ვერავითარ სარგებლობას თურქესტანის ფრონტს, ვინაიდან ივი ერთვის ციმბირის რკინის გზას და ციმბირის გზა, თავის საკუთარ დანიშნულებასაც ვერ შეასრულებს ომის დროს.

ამ ფრონტზედ რუსეთს სჭირია მკვიდრ და მკაცრი მოგერიების წარმოება. ამ ფრონტიდან ჩინეთი უმოკლესი მიმართულებით ემუქრება რუსეთის ევროპიულ ნაწილის სასიცოცხლო ცენტრებს. ეს არის ძველი ნაკვალევი აღმოსავლეთის შემოსევების ევროპის სივრცეებზედ, მათ შორის გათუ ხანის შემოსევისა. ჩინეთს ამ მიმართულებით შეუძლიან მოჰკვეთოს რუსეთს მთელი ციმბირის ახვარები.

ამ ფრონტს რუსეთისათვის აქვს კიდევ ერთი დიდი ნაკლი. მთელი მოსახლეობა ამ ფრონტის ბურგისა წარმოადგენს რუსეთისათვის, სრულიად უცხო და უაღრესად მტრულად განწყობილ, ერების კრებულს. ეს ერები განუწყვეტლივ და მკაცრად იბრძვიან თავის განთავისუფლებლათ. ამ ერებით დასახლებული ფართო და შეუწყვეტელი ზოლი, ჩინეთის საზღვრებიდან სწვდება ვოლგის ნაპირებს, სწალინგრად-ყაზანის რაიონში.

რა სახის მიღება შეუძლიან რუსეთ-ჩინეთის ომს, დღეს არსებულ ტეხნიკურ პირობებში?

ომის დაწყების პირველ საათებშივე, რუსეთს შეუძლიან გამოიყენოს თავის

ერთად-ერთი უპირატესობა: ნუკლეალურ იარაღის მძლავრი არსენალი და მისი შორწვდენის საშუალებანი. ამით რუსეთს შეუძლიან გაანადგუროს ჩინეთის ყოველი დიდი ქალაქი და რამოდენიმე ათეული მილიონი ჩინეთის მოსახლეობისა.

მაშინ ჩინეთიც იხმარს ამავე იარაღს. როგორც უკვე აღნიშნული იყო, უკვე შეიარაღების დღევანდელ დონეზედ, ჩინეთს შეუძლიან მისწვდეს რუსეთის ევროპიულ ცენტრებს; მაგრამ, ეს არ არის საჭირო ჩინეთისათვის. დღეს ჩინეთს უკვე შეუძლიან სულ მთლად მოსპოს და შეაჩეროს ყოველი მოძრაობა მთელ ციმბირის და თურქესტანის რკინის გზათა ქსელზედ. ამით რუსეთის მთელი შეიარაღებული ძალები, მთელ ომის ახპარეზზედ ავტომატიურად ჩავრდებიან უმწეო მდგომარეობაში.

ამავე დროს, მიუხედავათ მიყენებულ ყოველგვარ ზარალისა ჩინეთის ტერიტორიაზედ, ცუდათ შეარაღებულ და ცუდათ გამოკვებულ, ჩინეთის დიდ მახებს, მაინც შეუძლიანთ შეესივნენ ცარიელ ციმბირს. უკანასკნელ მოვლენებმა პრაქტიკულად ცხადჰყვეს, რომ ჩინეთმა იცის ეხეთ მახების მიზანშეწონილი მოხმარება და გამოყენება.

რის გაკეთება შეუძლიან მოსკოვის იმპერიას, რომ,როგორმე მაინც, მომზადებული დახვდეს, მომავალ აუცილებელ საფრთხეს? ამისთვის მოსკოვი იძულებულია, რომ ჩინეთის საზღვარზედ, ჯერ იხევ მშვიდობიან დროს, ომის წინ, დააყენოს დიდი სამხარი ერთეული /სულ უკანასკნელი არმიათა ჯგუფის ზომისა/, რომელიც უნდა იმყოფებოდეს სრულ სამხარ საფეხურზედ, როგორც რიცხვით, ისე მთელ შეიარაღებით და ხანგრძლივ საბრძოლო თადარიგით. ამ ერთეულს არ უნდა ჰქონდეს არავითარი იმედი რამე ძირითად შევსებისა, საერთო მობილიზაციის გამოცხადების შემდეგ. ე.ი. რუსეთი იძულებულია. ჯერ იხევ მშვიდობიან დროში იყოს მობილიზებული განუსვრეტელ დროის მანძილზედ.

სწორედ ამ მდგომარეობაში ჩააყენა რუსეთმა, თავის პოლიტიკური მანევრით, პაკარა საქართველო 1920 -21 წლებში.

რა შედეგების მიღწევის იმედი უნდა ჰქონდეს რუსეთს, ეხეთ არაჩვეულებრივ მძიმე და ძვირ სახელმწიფოებრივ სიძნელეთა გაძლოლის ფასად? ეხე მომზადებულ ლაშქრობით რუსეთს შეუძლიან მოიპოვოს მოკლე ეფექციანი, დიდი დროებითი წარმატება, დროებით პროპაგანდისთვის. ეხეთ მოქმედებით ომის გედს მაინც ვერ გადახწყვეტს. ეხეთ წარმატების შემდეგ, რუსეთის ძალები აღმოჩნდებიან მჭიდროთ დახახლებულ მიუწდომელ სივრცეების წინაშე, რომელშიც შევლენ, მაგრამ, რომელსაც ვერ დაიმორჩილებენ. ჩინეთის მოსახლეობას ექნება იდეალური პირობები

განსაკუთრებულ სახის პარტიზანულ ომის წარმოებისა. ეხეთი პარტიზანული ომი ჩინეთმა აწარმოვა , ჯერ იხევ დღევანდელ თაობის სიცოცხლეში და მისი ტრადიცია ჯერ კიდევ არ გადახულა ისტორიის არქივში

აქ რუხეთს ახალათ ხვდება წინ იგივე ისტორიული მოვლენა: პარტიზანული ომი, რომელიც რამოდენიმე საუკუნე წარმოადგენდა რუხეთის თვისებას და მის მოქმედებათა ტრადიციულ სახეს, დღევანდელ პირობებში მოქმედობს სწორედ მის წინააღმდეგ.

დაახლოვებით ეხე გამოიყურებიან ომის პირობები მოხკოვის იმპერიისთვის ჩინეთის ომის ახპარებზედ, თუ მოხკოვს მოუხდა ომი ჩინეთთან, დღეს არსებულ პირობებში. აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ ომის ეს ახპარები რუხეთისათვის არ არსებობდა 400 წლის განმავლობაში /1552- 1956/.

მომავალში მოხკოვის იმპერიის პირობები იქნებიან უფრო ძნელი და მძიმე, ვინაიდგან დრო მუშაობს ჩინეთისთვის. დღეს ჩინეთი იმყოფება სამხედრო ეკონომენტების ხელმძღვანელობის ქვეშ და ამ პირობებში სამხედრო ტეხნიკა და სახელმწიფოს ორგანიზაციული პროგრესი ვითარდება უფრო მეტი სიჩქარით, ვიდრე ამას მოელოდნენ დასავლეთის ექსპერტები.

ზემოთ მოყვანილი განხილვა შეეხება მხოლოდ მოხკოვის იმპერიის ჩინეთის ახპარებს. მაგრამ, ომი ჩინეთის ახპარებზედ არას დროს არ დარჩება განცალკევებულ მოვლენათ. იგი გუნებრივათ იმოქმედებს რუხეთის ცხოვრების და მის სახელმწიფო ორგანიზმის ყოველ ნაწილზედ და ეს მოვლენა ჰბადებს სხვა, უფრო დიდ მნიშვნელობის საკითხებს.

რა პოლიტიკურ მდგომარეობას შეჰქმნიან მოხკოვის შინაგან ცხოვრებაში, ხანგრძლივი სამხედრო მოქმედებანი ჩინეთის ახპარებზედ? რომელ საზღვრიც სახელმწიფოს სამხედრო ძალების გამოყენება შეუძლიან კრემლს ციმბირის დასაცავლად? უნგრეთის? ჩეხო-სლოვაკიის? პოლონეთის თუ რუმუნიის?

უფრო ცუდათ გამოიყურება მოხკოვისათვის დაპყრობილ ერების საკითხი. მეორე მსოფლიო ომის განმავლობაში და 1956 წლის მოძრაობის დროს, ყოველ დაპყრობილ ერმა, ყოველგვარ გამონაკლისის გარეშე, იარაღით ხელში ბრძოლით, აღნიშნა, რომ იბრძოლებს გასანთავისუფლებლად სწორედ რუხეთის წინააღმდეგ, და არა რუხეთისათვის.

ყველა ეს ფაქტები ნათლად აღნიშნავენ, რომ მომავალი ჩინეთ-რუსეთის შეხლა, მოსკოვის იმპერიის დასავლეთ ნაწილში ჰპოვებს უფრო დიდ გამომძახილს, ვიდრე ეს მოხდა 1904-05 წლებში რუსეთ-იაპონიის ომის დროს.

ეხე გამოიყურება მოსკოვის იმპერიის შინაგანი მდგომარეობა რუსეთ-ჩინეთის შეიარაღებულ კონფლიქტის შემთხვევაში. როგორ ეწყობა ესეთ კონფლიქტის შემთხვევაში მოსკოვის იმპერიის საერთაშორისო მდგომარეობა მსოფლიოს ხარბიელზედ?

რუსეთის მოწინავე რაზმები, ევროპის შუაგულში, მდინარე ელბის ნაპირებზედ, აღელვებს მთელ ევროპას და მსოფლიოს. ამ საკითხში მთელი ევროპის ხურვილი ერთია - რუსეთის მოშორება ცენტრალურ ევროპიდან. ეს არის პოლიტიკური საჭიროება როგორც ევროპის თავისუფალ ნაწილისა, აგრეთვე ყოველ საცეღლიც სახელმწიფოსი.

რასაკვირველია, ევროპისთვის ყველაზედ ხელსაყრელი ის არის, რომ ომის დღევანდელ განმანადგურებულ ძლიერების ხანაში, რუსეთის გაძევების საკითხი შუა ევროპიდან გადაწყდეს არა რეინის, მარნის, სომმის, ვერდენის და ევროპის, სხვა ამგვარ, ბრძოლის ველებზედ, არამედ ციმბირის ცარიელ სივრცეებში.

ევროპის ისტორიაში, ევროპის ერებს,არას დროს, არავითარ საკითხში, არ ჰქონიათ ესეთი ერთგვარი და ერთხმითი შეხედულობა, როგორც დღეს ამ საკითხში. რასაკვირველია, ევროპის პოლიტიკურ ცრადიციების, გამოცდილების და ცაქტის თანახმათ, ევროპა ამ საკითხს არ ეხება ოფიციალურად. მაგრამ, ეს მისი ინტერესები და მოლოდინი სრულიად ნათლად გამოიყურებიან ყოველ ევროპიელ სახელმწიფოს მოქმედებიდან.

იბადება საკითხი: შეუძლიან მოსკოვის იმპერიას, რომ მან ჰპოვოს ისეთი მოკავშირე, რომელიც საერთო ინტერესების ნიადაგზედ, თანაიბრძოლებს რუსეთთან, ბრძოლის ველებზედ და პოლიტიკურ სარბიელზედ, რუსეთ-ჩინეთის მეცოქეობის მთელ მანძილზედ, სანამ რუსეთი სამუდამოთ არა სძლევს ჩინეთის მოწინააღმდეგობას?

ეს საკითხი საჭიროდ ხდის, რომ ერთხელ კიდევ გავითვალისწინოთ რუსეთ

-ჩინეთის შეხლის ხარისხი და ხასიათი და მის მნიშვნელობა, მსოფლიოს ხა-ერთაშორისო ხარბიელზედ.

ამ ორი ერის შეხლა არ ხდება შემთხვევით და გარდამავალ სამხედრო კონ-ფლიქტის საფეხურზედ. ეს არის შეხლა და სამუდამო გადაჯვარედინება ორ ერის ძირითად, სამკვდრო სახიცოცხლო ინტერესებისა. რუსეთს სურს დარჩეს შორეულ აღმოსავლეთში და წყნარ ოკ-ეანეს ნაპირებზედ შეიქმნეს მკარნახებელ ძლიერებავ. ჩინეთისთვის ეს სასიკვდილო მუქარაა და ესეთ მოწინააღმდეგის მოშორება, ჩინეთისათვის წარმოადგენს ყოფნა-არყოფნის ხარისხის საკითხს. რუსეთისათვის, ბოლოს ბოლოს, ეს არის კოლონიალურ საფეხურის საკითხი და მას არა აქვს ნიადაგი, რომ ამ მიზნისთვის აწარმოვოს ხანგრძლივი ბრძოლა, რამოდენიმე ომის სახით.

ესეთ საერთაშორისო პოლიტიკურ მდგომარეობაში, სამხედრო მდგომარეობის განხილვის წარმოება, შეიძლება მხოლოდ უახლოეს მოსალოდნელ შეიარაღებულ შეხლის ჩარჩოებში. რაგვარი მოკავშირე სჭირია რუსეთს, თუ მას მოუხდა ომის წარმოება ჩინეთთან, დღეს არსებულ პირობებში?

ამ შემთხვევაში რუსეთს სჭირია ისეთი მოკავშირე, რომ მას შეეძლოს გაანთავისუფლოს რუსეთი, ჩინეთის ასპარეზის მთავარ სიმძიმიდგან და მისცეს მას /რუსეთს/ საშუალება, რომ მთელი თავისი ძალები მოიხმაროს ევროპაში, თავის დასავლეთ საზღვრებზედ. ე.ი. ამ მოკავშირეს უნდა შეეძლოს, რომ შეესიოს ჩინეთის ტერიტორიას რამოდენიმე მილიონიან რიცხვის ლაშქარით.

ან წინაუკმოთ: რუსეთისათვის დღეს საჭირო მოკავშირეს უნდა შეეძლოს დაიპყროს მთელი დასავლეთი ევროპა და მისცეს რუსეთს საშუალება, რომ მთელი თავისი ძალები მოიხმაროს ჩინეთის წინააღმდეგ.

აი ესეთი მოკავშირე სჭირია რუსეთს, მსოფლიოზედ გაბატონების, თავის ძველ ეროვნულ იდეის განსახორციელებელ, ბრძოლის დღევანდელ ეტაპში. ესეთი სახელმწიფო არ არსებობს დედამიწის ზურგზედ, რომ დღეს ესეთი სამსახური გაუწიოს რუსეთს. რუსეთმა ეს საუცხოვოთ იცის და ამიტომ იგი სრულიად უყურადღებოთ სტოვებს ყოველგვარ შეთავაზებას, როგორც - "შესახვედრ ხიდების აშენება" ან "საერთო ენის გამონახვის ", ჰანგებზედ.

როდესაც მსოფლიოს საერთაშორისო ვითარებას ვარჩევთ, როგორც ერთ მთლიან ერთეულისა, ნათლად ხჩანს, რომ კაცობრიობა დღეს იმყოფება საერთაშორისო ძალთა განწყობილების დიდ გარდაქმნის პროცესში. ამ პროცესის შებრუნება, ან შეჩერება , უკვე აღარ შეიძლება ოფიციალურ დიპლომატიის ვერავითარ მანევრით.

ამ პროცესში გათავდა დიდ და ჭრელ იმპერიების ხანა. როგორც უკანასკნელი იმპერია, მიადგა თავის ბოლოს და თავდება ბუნებრივი გზით - მოსკოვის იმპერიაც. ეს ფაქტი ჰქმნის მსოფლიოს პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარე გარდამავალ სიძნელეებს და სხვა და სხვა პოლიტიკურ კრიზისებს.

სინამდვილეში მოსკოვის იმპერიამ პირველმა დაიწყო დაშლა, ჯერ იხევ 1918 წელს. მაშინ იგი ხელოვნურად იქმნა გადარჩენილი, მაგრამ, დღეს იგი, როგორც უკანასკნელი იმპერია, შევიდა თავის საბოლოო ლიკვიდაციის სტადიაში. მსოფლიოს დღევანდელ გარდაქმნის პროცესში, მოსკოვის იმპერიას აღარ შეუძლიან დაიცვას თავის მთლიანობა და თავის დღევანდელი პოლიტიკური პოზიცია. მისი მსოფლიოზედ გაბატონების იდეალი, ერთხელ და სამუდამოთ არის მოხსნილი და გაბათილებული.

ბრძოლა, რომელიც სპობს მოსკოვის იმპერიას, არ არის გამოწვეული შინაგან წყობილების საკითხით და არ ვითარდება შინაგან წყობილების თეორიის დოგმატიზმის განსხვავებათა შეხლის ნიადაგზედ.

მოსკოვის იმპერიას ამხობს ის ფაქტი, რომ მისი ერთმორწმუნე კომუნისტური ჩინეთი ფეხზედ დადგა, როგორც ერი და სახელმწიფო. მას ამხობს ის ფაქტი, რომ გათავდა ხანა ერთი ერის მეორე ერზედ ბატონობისა. ე.ი. მოსკოვის იმპერია მარცხდება ერების გამანთავისუფლებელ ბრძოლაში, რომელსაც დაპყრობილი ერები აწარმოებენ არსებობის უფლების მოსაპოვებლათ.

დღემდის კრემლის ტაქტიკა შემდეგი იყო: იგი იწვევდა ყოველ ქვეყანაში შინაგან კლასობრივ ბრძოლას, ან სხვა რამე უკუმაყოფილების ნიადაგზედ იწვევდა არეულობას და ყოველ ამ ბრძოლას იყენებდა, მხოლოდ და მხოლოდ, თავის საკუთარ ეროვნულ აგრესიის მიზნებისათვის. ამ მოქმედებით კრემლმა ბევრგან მიაღწია დიდ შედეგებს. მას ჯერ კიდევ შეუძლიან ეხეთ გამწვავებათა გამოწვევა, მსოფლიოს ბევრ კუთხეში. მაგრამ, ამ მანევრით მოსკოვი ვეღარ დაიპყრობს ახალ ქვეყნებს. ეხეთ დაპყრობათა ხანა უკვე ერთხელ და სამუდამოდ არის გათავებული.

დღეს მსოფლიოს ყოველ კუთხეში ხჭარმოობს დაპყრობილ ერებია გამახთავის უფლებელი ბრძოლა.პრაქტიკულად რომ ავიღოთ, ეს არის ბრძოლა ფიზიკურ არსებობისთვის; ე.ი. ეს ბრძოლა ჭარმოადგენს ბუნების ურყევ კანონს - ეს არის ბუნებრივი თავდაცვა საკუთარ არსებობისა.

ბრძოლა ეროვნულ თავისუფლებისათვის შეიქმნა ნიადაგათ რუსეთ-ჩინეთის სამკვდრო-სახიცოცხლო შეჯახებისა. ამავე თვისების ბრძოლა დაპყრობილ ერებისა,თავის ფიზიკურ არსებობისათვის და ეროვნულ თავისუფლებისათვის, ჰქმნის მოსკოვის იმპერიის შინაგან ვითარების გარდაუვალ კრიზისს. ეს პოლიტიკური მდგომარეობა არ ჭარმოადგენს მოსკოვის იმპერიის განცალკევებულ და გაყენებულ მოვლენას. ეს არის მთელ კაცობრიობის ბუნებრივი, მიმდინარე ეტაპი ცხოვრების ვითარებისა. კაცობრიობის განვითარების გზას,გზეეღობა დღეს ეროვნებათა თავისუფლების საკითხი, იმავე სახით, როგორც გეზეეღობა მას მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებში, ადამიანის პირადი თავისუფლების აუცილებლობა.

ოფიციალურ დიპლომატიის ურთიერთობაში, ჯერ კიდევ შეიძლება ხელოვნურად დახუჭვა თვალებისა ამ საკითხზედ. მაგრამ იქ, სადაც სახელმწიფოთა ურთიერთობა გადადის ბრძოლის ველზედ, უკვე საკითხი ავტომატიურად გადადის მებრძოლ ერების ხელში და ბრძოლა ურყევლად დგება ეროვნულ ნიადაგზედ.

ეს პროცესი ვითარდება მთელი მსოფლიოს და კაცობრიობის მასშტაბით. არ ერთ ოფიციალურ ძალას არა აქვს საშუალება, რომ შეაჩეროს ეს ბუნებრივი პროცესი. ეს პროცესი,ბუნებრივი გზით, სპობს უკანასკნელ ჭრელ ხელოვნურ იმპერიას და ეს არის ბუნებრივი აღსასრული უკანასკნელ იმპერიისა.

რა სურათი იხატება ჩვენ წინ, თუ შევაჯამებთ საბოლოოთ ყველა იმ ფაქტებისა, რომელნიც აყალიბებენ მოსკოვის იმპერიის დღევანდელ მდგომარეობას?

აქ მოგვიხდება გავიმეოროთ იმ გადაულახავ დაბრკოლებათა და ბუნებრივ ნაკლულოვნებათა სია, რომელთაც განიცდის ჭიოელი იმპერია.

1. რკინის გზათა ქსელი გაშენებულია იმპერიის ეკონომიურ და მოსახლეობის სიხშირის სრულ მიზანშეწონილ მოთხოვნილებათა უმაღლეს დონემდის, მაგრამ, ამ

გზათა ქსელის შემძლებლობა სრულებითაც ვერ სჭვდება იმ სამხედრო მოთხოვნილებებს, რომელთაც იწვევს აგრესიული პოლიტიკა კრემლის მთავრობისა.

2. საბჭოთა იმპერიის სამხედრო ძალების შეიარაღება მდგას სამხედრო ტექნიკის უმაღლეს საფეხურზედ, მაგრამ, იგივე სამხედრო ტექნიკა უკეთესად ემსახურება რუსეთის მოწინააღმდეგეებს, ვიდრე რუსეთს. ეს მოვლენა დამოკიდებულია ინდივიდუალურ გეოგრაფიულ და პოლიტიკურ პირობებზედ ყოველ განცალკევებულ სახელმწიფოსი. მაგალითად: ჩინეთმა, რომ გაანადგუროს რუსეთის შეიარაღებული ძალები ციმბირის ახპარეზედ, მას /ჩინეთს/ სრულებითაც არ სჭირია ნუკლეალურ იარაღის იხეთი მძლავრი არსენალი, როგორიც დღეს მოეპოვება რუსეთს. მეორე მხრივ, რუსეთის ამ მძლავრ არსენალს არ ძალუძს მიაღწიოს იხეთივე შედეგებს, რომელთა მიღწევაც შეუძლიან ჩინეთის უფრო ხუსტ შეიარაღებას.

ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ მოხკოვის იმპერიის ხელოვნური უზარმაზარი სხეული გაიზარდა სახელმწიფოს ნერვიულ სისტემის ყოველ შემძლებლობის ზევით. ეს ნერვიული სისტემა ველარ უძლებს ამ სხეულის სიმძიმეს და მას ვერ შეუძლიან შეასრულოს მოვალეობა ნორმალურ სახელმწიფოს აპარატისა. ეს არ არის გამოწვეული იმპერიის ჩამორჩენით, ან მის მმართველობის რამე შეცდომით. ეს არის ბუნებრივი საზღვარი ამ ნერვიულ სისტემის შემძლებლობისა.

უფრო ცუდათ გამოიყურება მოხკოვის პოლიტიკურ იდეოლოგიის საკითხი.

1. დაინახა რა ლენინმა ეროვნულ მოძრაობის სიძლიერე, მან 1917 წელშივე მოინდომა ამ ძალის გამოყენება სხვა იმპერიების წინააღმდეგ /იხილეთ ამავე გამოცემის ნომერი 4/. ამ ნიადაგზედ რუსეთმა თითონ ჩამოაყალიბა ეს პოლიტიკური მანევრი სხვა იმპერიების წინააღმდეგ და გამოხატა, როგორც მკვეთრი იდეოლოგიური ფორმულა: " განთავისუფლება დაპყრობილ კოლონიალურ ერებისა". დღეს რუსეთისთვის აღმოჩნდა სრულ მოულოდნელობათ, რომ ეს იარაღი უფრო მეტი ძალით შეტრიალდა თვით რუსეთის წინააღმდეგ. ეს სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, ვინაიდან ეს ბრძოლა პირველად დაიწყო თვით რუსეთში და რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები მდგანან კულტურის უფრო მაღალ საფეხურზედ, ვიდრე თვით რუსები.

2. მართალია, რომ რუსეთმა თითქმის ყოველი ერი დაიპყრო "ცივი ომის" საშუალებით, მაგრამ ეს ერები მას უკავია მორჩილებაში მხოლოდ ხიშტებით. რუსეთს დააკვიდა ერთი ევროპიული სამხედრო ანდაზა: "ხიშტებით ბევრ რამის გაკეთება შეიძლება, გარდა ერთისა - ხიშტებზედ არ შეიძლება ჯდომა ". დღეს რუსეთს ვერ გაუგია, რომ ამ ხიშტებზედ მოკეცილი, რატომ ვერა ჰგრძნობს თავს კარგათ.

3. ყველაზედ დიდ მოულოდნელობათ რუხეთისთვის გამოდგა ის ფაქტი, რომ 400 წლის ტრადიციის შემდეგ, იგი /რუხეთი/ აღმოსავლეთში წააწყდა იხეთ მოპირდაპირეს, რომელზედაც სრულებით ვერ მოქმედობენ "ცივი ომის" მეთოდები. / ჩინეთმა ეს მეთოდი თითონ ჩამოაყალიბა მონგოლების ძლიერების რამოდენიმე საუკუნის წინ და ეს მეთოდები მონგოლებმა მოიტანეს რუხეთში/.

4. მსოფლიოს საერთაშორისო ხარბიელზედ, დღევანდელ ვითარებაში, არ არსებობს იხეთი სახელმწიფო, რომ მას ხურდეს და შეეძლოს მოსკოვის იმპერიის მოკავშირეობა, რუხეთ-ჩინეთის რივალიზაციის მთელ მანძილზედ.

ჩამოთვლილი პოლიტიკური მოვლენები, თავის საბოლოო ჯამში, წარმოადგენენ გუნებრივ ბოლოს და გათავებას უკანასკნელ კოლონიალურ იმპერიისა. ეს არის მისი /უკანასკნელ იმპერიის/ გუნებრივი აღსასრული. ამ პირობებში რის გაკეთებაღა შეუძლიან კრემლის მთავრობას და რა პოლიტიკური საშუალებანი რჩებიან მის შემძლებლობაში?

აქ ერთხელ კიდევ უნდა აღინიშნოს საგანგებო საბგახმით, რომ კრემლის მთავრობის ყოველ ნაბიჯიდან ნათლათა სჩანს, რომ იგი მსოფლიოს პოლიტიკურ მდგომარეობას ცნობს უკეთესად და აფასებს უფრო რეალურად, ვიდრე რომელიმე სახელმწიფოს მთავრობა მთელ მსოფლიოში. ყველაფრიდან ნათლათა სჩანს, რომ მოსკოვის მთავრობას საუცხოოთ ესმის საკუთარი მდგომარეობაც და იცის, თუ რა ხარისხის საკითხი და ხიფათი ჰდგას მის წინ.

რუხეთის მთავრობას აქვს გარკვეული მაგალითი ორ დიდ იმპერიისა. ამ იმპერიებმა ჰპოვეს მთავრობები და სახელმწიფო მოღვაწენი იხეთ სიდიადის და დონეზი რომელთაც შეხძლეს ეკისრათ პასუხისგება ისტორიისა და საკუთარ ერების წინაშე რომ გამოეცხადებინათ, რომ იმპერია გათავდა. იგივე მძიმე ამოცანა ჰდგას კრემლის დღევანდელ მთავრობის წინაშე. დღეს უკანასკნელი წუთია, რომ კრემლის მთავრობამ მიიღოს ერთერთი გადაწყვეტილება:

- ან მოსკოვმა უნდა გააკეთოს ყველაფერი რუხი ერის სასარგებლოთ და მის ინტერესებისთვის, რომ იმპერიის გათავება არ იქცეს ამ ერის კატასტროფად.

- ან მოსკოვის მთავრობამ შეხწიროს ყველაფერი უიმედო ბრძოლას, განწირულ იმპერიის გადასარჩენათ და ამ უაზრო და უიმედო ბრძოლას შეხწიროს თვით რუხი ერის პოლიტიკური არსებობაც.

შესწევს კრემლის მთავრობას იმის ძალა და უნარი, რომ წინააღმდეგ ველური აგრესიის და დასურობათა ისტერიის 400 წლიან ტრადიციისა, გადაკვეთოს მოქმედების ეს ხაზი და დაიწყოს თითონვე, ნამდვილი განთავისუფლება დაპყრობილ ერებისა; ე.ი. თითონვე დაიწყოს მოსკოვის იმპერიის ლიკვიდაცია ?

ეხეთი შესაძლებლობა არ არსებობს რუსი ერის ფსიქოლოგიაში და მის იდეურ მიდრეკილებაში. არას შემთხვევაში არ შეგვიძლიან ვიგულისხმოთ ისეთ მთავრობის არსებობა კრემლის კედლებში, რომ მას შეეძლოს ეხეთ ზომების მიღება, ისეთ მომენტში, რომ ჯერ კიდევ შეიძლებოდეს რუსი ერის გადარჩენა აუცილებელ პოლიტიკურ კატასტროფიდან.

სპეციალურად ძნელია, თუ არა შეუძლებელი, ეხეთ აზრის შეგნება, სწორედ დღევანდელ თაობის არსებობის განმავლობაში. ჯერ ისევ 1956 წ. ამ იმპერიის ფაქტიურ გაცნობის სივრცე გადაჭიმული იყო მდინარე ელბის ნაპირებიდან ინდოეთის ოკეანის ნაპირებამდის. მთელი რუსი ერი იმყოფებოდა ექსტაზის მდგომარეობაში. იგი უშუალოდ სწვდებოდა თავის ძველ ეროვნულ აღთქმის ახრულების ხინამდვილეს, იგი თითქმის აღწევდა მსოფლიობელ გაბატონებას, და..... ..... სრულიად მოულოდნელად და მოუმზადებლივ, ხულ ერთი ათეული წლის განმავლობაში, იგივე თაობა აღმოჩნდა ცხოვრების მკაცრ ხინამდვილის წინაშე..... მხოლოდ ეთნოგრაფიული საზღვრები!

მოქმედების ყოველი ნიშნები მკვეთრათ გვიჩვენებენ, რომ კრემლის მთავრობამ ირჩია ძველი ტრადიციული, რუხული ეროვნული პოლიტიკური ხაზი იმპერიალიზმისა. ეს გარდაწყვეტილება უკარნახებს მას მოქმედების ერთათერთ სახეს საერთაშორისო ხარბიელზედ. კრემლის მთავრობა ამ კარნახს ახრულებს უკიდურეს შესაძლებელ სიზუსტით. ეს არის ამ დებულების ახრულების ერთად ერთი სახე - აგრესია, აგრესია რათაც არ უნდა ღირდეს ეს, აგრესია სრულ კატასტროფის უკანასკნელ წუთამდის.

მოსკოვს სჭირია, რომ მას მთელი მსოფლიო ეკავოს ისეთ განუწყვეტელ აღელვებათა წნევის ქვეშ, რომ ყოველ სახელმწიფოს მხოლოდ ისღა შეეძლოს, როგ იბრუნვოს მხოლოდ საკუთარ თავდაცვაზედ ყველ მორიგე იერიშიდან და შეკახებიდან. რუხეთისათვის ხულ ერთია შეხღა მოხდება კორეაში, ბერლინში, ინდოჩინეთში, თუ მახლობელ აღმოსავლეთში. მოსკოვისთვის არა აქვს მნიშვნელობა თუ მსოფლიოს რომელ კუთხეში აინთება ახალი შეკახება დაუკმაყოფილების რა ნიადაგზედ იქნება მოწყობილი ეს მორიგე შეიარაღებული შეხღა. შეიძლება ეს მოეწყოს "კლასობრივ ბრძოლის" ნიადაგზედ, ან "ეროვნულ განთავისუფლების" ნიადაგზედ; მოსკოვისთვის ეს ხულ ერთია. ამ მოქმედებაში მხოლოდ ერთ ხაკითხს

აქვს მნიშვნელობა: ყოველ მორიგე კონფლიქტმა უნდა განაგრძოს განუწყვეტელი წნევა მთელ მსოფლიოს ნერვიულ ხისტემაზედ და არას შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ მსოფლიოს ნერვიული აცმოხფერა გაიწმინდოს და დამშვიდდეს.

რუხეთის მთელ ამ მოქმედებაში მცკიცედ არის დაცული მხოლოდ ერთი პრინციპი: ეს გამწვავება მუდამ უნდა ხდებოდეს განსაზღვრულ წნევის დონეზედ, და მან არას შემთხვევ აში არ უნდა მიიყვანოს საქმე იხეთ მსოფლიო ომამდის, რომ შიგ რუხეთიც იქმნეს ჩათრეული.

ეხეთი შეცდომა რუხეთს ძალიან ძვირად დაუჯდა; ეს არის 1939 წლის შეცდომა. ამ წელს, რიბბენტროპ-მოლოტოვის ხელშეკრულებით, რუხეთს ხური გამოეწვია დიდი ომი დასავლეთ ევროპაში, რომ იქ გათამაშებულიყვნენ მკაცრი ხისხლიანი ბრძოლები პირველ მსოფლიო ომის ტრადიციისა, როგორც მარნის, ვერდენის სომმის, ფლანდრიის და სხვა სისხლის ღვრათა სახისა. კრემლი დარწმუნებული იყო, რომ ეხეთ სისხლისღვრის შემდეგ, წითელი ჯარი ცერემონიალურ მარშით მივიდოდა ატლანტის ოკეანეს ნაპირებამდის.

ამის მაგივრად, რიბბენტროპ-მოლოტოვის ხელშეკრულებით კრემლმა გამოიწვია მხოლოდ კიევის, ლენინგრადის, მოსკოვის და სტალინგრადის ბრძოლები ეს გაკვეთილი კრემლს ძალიან მაგრად ახსოვს და დღესაც ეშინიან მის აჩრდილისა.

ეს არის კრემლის დღევანდელი პოლიტიკური ხაში. იგი /კრემლი/ არ ურიგდება და უარჰყოფს ისტორიის განაჩენს, რომ ამ ერის ძველი ოცნება და მმანება მსოფლიოზედ გაბატონებისა, ერთხელ და სამუდამოთ არის გადახაზული და ამოშლილი მსოფლიოს პოლიტიკურ ვითარებიდან.

კრემლის მიმდინარე მოქმედება წარმოადგენს ერთვარ პოლიტიკურ ნარკოზს, რომელიც რუხეთს აძლევს დროებით თავდავიწყებას თავზედ წამომდგარ უკმურ აჩრდილის წინაშე, რომელიც მას უქადის აუცილებელ ბოლოს იმპერიისა. ამ საკითხზედ ისტორიის ვითარება, შედარებით მოკლე ხანში, მისცემს პასუხს კატასტროფისას. მანამკი, როგორც მოწმენი, უყურებთ კრემლის მოქმედებას. ამ მოქმედების თვისება ხულ მარცვია - ეს ნიშნავს: " წინ მთელი ორთქლით ჩანგრეულ ხიდის მიმართულებით ". ყველაზედ დიდი მსხვერპლი ამ მოქმედებისა იქნება თვით რუსი ერი.

მსოფლიოს ორ უდიდეს მოწინააღმდეგე სახელმწიფოთა ძალების განხილვის შემ

დეგ, საბოლოო დახვნებისთვის საჭიროა გაღავხედოთ საერთო მდგომარეობას მსოფლიოს საერთაშორისო სარბიელზედ.

კაცობრიობას ხშყურიან ბავი, ბავი მკვიდრი და ხანგრძლივი, დამყარებული ძალთა ხაღ და მკვიდრ წონახწორობაზედ. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამყარებული ე.წ. " ორ ბეძლიერებათა სისტემა " აღმოჩნდა დიდ ისტორიულ შეცდომათ. ამ სისტემამ ვერ მიუძღვნა მოქანდუკ კაცობრიობას მის ხანაშრელი ბავი. ფაქტიურად " ორ ბეძლიერებათა სისტემა" დღეს უკვე აღარ არსებობს.

დრო და განსაკუთრებით მშვიდობიანი დრო, მუშაობს უკანასკნელ ხელოვნურ იმპერიის წინააღმდეგ. ეს იმპერია გახლავს ერთი ოფიციალურ ბეძლიერებათაგანი. თავის აგონიის გასაგრძელებლათ, ამ იმპერიას დარჩა მხოლოდ ერთი გზა - ეს არის გაუთვებელი, მუდმივი არეულობა და ღელვა მთელ მსოფლიოში და იგი თავგამოდებით მოქმედობს ამ მიზნისთვის. ამ ქმნილების კონვულსიები ართულებენ და აძნელებენ მთელ მსოფლიოს ცხოვრებას.

როგორც უკვე რამოდენჯერმე იყო აღნიშნული, მიუხედავათ ოფიციალურ პროპაგანდისა და დიაგნოზებისა, ამ იმპერიის აგრესია არ ვითარდება შინაგან წყობილების რამე თეორიის დოგმატიზმის ხაბით, არამედ ეს აგრესია ვითარდება რუსი ერის ძველ ეროვნულ იმპერიალიზმის ხაბით. ამ ბრძოლაში ერთ მხარედ დგას რუსი ერი გაფაცებული მსოფლიოს დაპყრობის ისტერიით და მის წინააღმდეგ იბრძვიან ერები, რომელნიც იცავენ თავიანთ ეროვნულ თავისუფლებას და ფიზიკურ არსებობას.

ამ პირობებში რათ არის ეხე ძნელი მკვიდრ ბავის დამყარება? ეხეთ ბავის დამყარებას აძნელებს ის ფაქტი, რომ საერთაშორისო ცხოვრებას აკლია ხმა ერთ მთავარ ელემენტისა; ეს ელემენტი არის გაერთიანებული ევროპა და მისი ხმა, ევროპა გაერთიანებული და არა დაპყრობილი. ევროპის 2500 წლიან ისტორიას ხსოვს, რომ ვერც ერთი ევროპიელი ერი ვერ დაიპყრობს მთელ ევროპას და დპყრობა ვერას შემთხვევაში ვერ დაამყარებს ბავს. დღეს ამ სინამდვილის მნიშვნელობას უშუალოდ განიცდის მთელი მსოფლიო.

რა სახისა უნდა იყოს ევროპის გაერთიანება, რომ მან ჩამოაყალიბოს ევროპის საერთო ენა, როდესაც ყველა წინამორბედ დაპყრობებმა ვერ მიაღწიეს ამ მიბანს? ბოლოს ბოლოს ეს უნდა იყოს გაერთიანება თავისუფალ ერებისა, ე.ი. კავშირი ევროპის კულტურის თავისუფალ ერებისა. ამის მიღწევა შეუძლებელი გა-

მოდგა მაშინ, როდესაც ევროპის ყოველი იმპერია ისე ძლიერად ჰგრძნობდა თავს, რომ ყოველ მათგანს ხშამდა, რომ მარტო გაუძღოდა მთელ მსოფლიოს. დღეს მთელი ევროპა იმყოფება თავისუფლების დაკარგვის უშუალო საფრთხის წინაშე. ესეთ განსაცდელის წნევის ქვეშ დაკავშირების და გაერთიანების იდეა მწიფდება აღვილათ და დიდი სიჩქარით.

აქ ავტომატიურად იჭრება წინ წინამორბედი პრობლემა: თავისუფალ ერების გაერთიანებისთვის აუცილებელია, რომ ყოველი ეს ერი ნამდვილად იყოს თავისუფალი.

100 მილიონზედ მეტი ევროპის ერებისა დაპყრობილნი არიან წითელ იმპერიის მიერ. ეს დამპყრობელი ბოროტად იყენებს დამონავებულ ერების მთელ სამხედრო პოტენციალს, დანარჩენ თავისუფალ ქვეყნების წინააღმდეგ; სახელდობრ: მოსკოვი იყენებს დაპყრობილ ერების ტერიტორიის სტრატეგიულ მნიშვნელობას, ამ ტერიტორიის გუნებრივ სიმდიდრეებს და ამ ერების მოსახლეობის რიცხოვნებას. დაპყრობილი ერები წარმოადგენენ წითელ იმპერიის უმრავლესობას და ესეთივე მეტ ნაწილს ამ იმპერიის სამხედრო პოტენციალისა. ეს ფაქტი წარმოადგენს უდიდეს ხიფათს მსოფლიოს თავისუფალ ნაწილისთვის, მაგრამ დაპყრობილ ერებს არა ხურთ ბრძოლა მსოფლიოს თავისუფალ ნაწილის წინააღმდეგ.

არსებული მდგომარეობა ცხადჰყოფს, რომ ევროპის თავისუფალ ერების კავშირის ჩამოყალიბება შეუძლებელია, თუ არ იქნებიან განთავისუფლებულნი რუსეთის მიერ დაპყრობილი ერები და მსოფლიოში მშვიდობიანობის დამყარება შეუძლებელია, თუ მოსკოვის იმპერიის სამხედრო აპარატიდან არ იქმნა მოხსნილი დაპყრობილ ერების სამხედრო პოტენციალი.

ევროპის ისტორიაში, ე.წ. დაპყრობილი ერები, როგორც ერთი მთლიანი ჯგუფი, მუდამ ახრულებდნენ დანიშნულებას საამორტიზაციო ბუფერისა, წინააღმდეგ ყოველ შემოსევისა, რომელნიც მოდიოდნენ აღმოსავლეთიდან. ეს არის მათი დანიშნულება, მივლინებული კატორღის ისტორიის მიერ. დაპყრობილი ერები ამავე დანიშნულებას ახრულებენ დღესაც, მსოფლიოს თავისუფალ ნაწილს უშუალოდ ემუქრება მორიგე აგრესორი, გატაცებული მსოფლიოს დაპყრობის სურვილის ისტერიით / რამდენი დამპყრობელი იყო გატაცებული ამ ფუჭი და სიხლიანი ისტერიით კატორღის ისტორიაში?/.

დღეს არსებულ საერთო მდგომარეობაში, ახალად ვხვდებით ძველ ისტორიულ მოვლენას. მიუხედავათ პროფესიონალურ დიპლომატიის ჯამბაზურ სოფისტიკისა,

დაპყრობილ ერების დღევანდელი თავგანწირული ბრძოლა, თავისთავად წარმოადგენს ბრძოლას, მკვიდრად დაფუძნებულ ბავის და მშვიდობიანობის დამყარებისთვის მხოფლიოში. კაცობრიობა ვერ იხილავს ნამდვილ ბავს, სანამ არ იქნებიან განთავისუფლებული დაპყრობილი ერები და მათი მძლავრი სამხედრო პოტენციალი არ იქნება მოხსნილი აგრესორის სამხედრო მანქანიდან.

აქ იბადება ერთი საკითხი: დღეს დაპყრობილი ერები ჩაბმული არიან სამკვდრო-სახიცოცხლო ბრძოლაში მოსკოვის იმპერიის წინააღმდეგ; ფაქტიურად ამ ერებს ებრძვის რუსი ერი. რა ურთიერთობა ექნებათ ამ ერებს თავიანთ განთავისუფლების შემდეგ, თავის ძველ დამპყრობელ ერთან?

გამანთავისუფლებელ ბრძოლის იდეა და მკვიდრ ბავის დამყარების სურვილი, არას დროს არ შეეგუებიან რამე აგრესიულ ხიმულვილეს და მტრობას, რომელიმე თავისუფალ ერის წინააღმდეგ, რომელიც ხელოვრობს თავის ეთნოგრაფიულ საბღვრებში. იმ დღიდან, რომლიდანაც რუსი ერი იქნება განკურნული თავის დაპყრობათა იხერიიდან და დაუბრუნდება თავის ეთნოგრაფიულ საბღვრებს, მას სრულიად გახსნილი ექნება კარები თავისუფალ ერების ოჯახისა, ყველა იმ ღირსებათა მთელი შეფასებით, რომელთაც იგი /რუსი ერი / გამოიჩენს თავისუფალ ერების წიაღში.

ვ. ნანუაშვილი .